პროლეტარეებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 ნოემბერი პარასკევი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 272 (14876)

# მჯკიცე სიჯყვა

**ПРАВДА**

**19 ნოემბრის მოწინავე**

ბატ მომავალი XXIV კონგრესის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების დღეები საბჭოთა ადამიანების შრომითი მამაცობის, მათი შემოქმედებითი აქტივობის, მასობრივი ინიციატივის მატიანის ფურცლებია. მოსკოველთა და ლენინგრადელთა შემდეგ, რომლებმაც დიდი ოქტომბრის 53-ე წლისთავის წინ პირველებმა შეასრულეს ხუთწლედის ვადამდე დამთავრების ნაკისრი ვალდებულებანი, შეჯიბრებაში დასახულ მიჯნებს მიაღწიეს უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, რუსეთის სფსრ ბევრი ოლქის მრეწველობის მუშაკებმა. საწარმოებისა და მშენებლობების უკვე ათასობით კოლექტივი იძლევა პროდუქციას ხუთწლიან დავალებათა გადაჭარბებით. პირნათლად შეასრულეს სიტყვა სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, სამშობლო გაახარეს პურეულის უხვი მოსავლით.

ცნობები ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულების შესახებ მოდის ქვეყნის ყველა კუთხიდან. და ჩვენს თვალწინ თითქოს ცოცხლდებიან სკკპ XXIII კონგრესის დირექტივების სტრიქონები, იქცევიან კონკრეტულ საქმეებად — ახალ ქარხნებად და ფაბრიკებად, ზახტებად და ქალაქებად. ხუთწლეულის მანძილზე გაწეული მუშაობის წინასწარი შედეგები მკაფიოდ მოწმობენ საბჭოთა ხალხის ურღვევ შეკავშირებას კომუნისტური პარტიის გარშემო, მის შრომითს გმირობას, პარტიული ორგანიზაციების დიდ ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

შრომითმა კოლექტივებმა, გააჩაღეს რა მზადება კონგრესისათვის, იკისრეს ახალი ვალდებულებანი, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. ეს ვალდებულებანი ეკონომიურად ღრმად არის დასაბუთებული და გამომდინარეობენ ამოცანებიდან, რომლებიც დასახეს სკკპ XXIII კონგრესმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრისა და 1970 წლის ივლისის პლენუმებმა. მათში მთავარია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, წარმოების ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით ამაღლება. ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა, ბუნებრივია, აყენებს ახალ მოთხოვნებს პარტიული ორგანიზაციების წინაშე. მათი ამოცანა ის არის, რომ საერთო მეცადინეობა მოახმარონ წარმოების გადამწყვეტ უბნებს, უზრუნველყონ პირობები, რომლებიც თვითეულ მუშაკს წაახალისებს შემოქმედებითი ძიების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, რეზერვების უფრო სრული გამოყენების, მომჭირნეობის რეჟიმის უმკაცრესად დაცვისათვის. ახლა, როცა წლისა და ხუთწლედის დამლევამდე ცოტა დრო დარჩა, განსაკუთრებით საჭიროა რაც შეიძლება მალე წამოვწიოთ ჩამორჩენილნი, უზრუნველვყოთ შეჯიბრების შემდგომი გაჩაღება, ავამაღლოთ მისი ქმედითობა. ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს კომუნისტთა ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა საშუალება.

ვალდებულებათა წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა შეჯიბრების ფართო საჯაროობა, მიღწეული შედეგების შესადარისობა, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენებისათვის შესაძლებლობათა შექმნა, ამხანაგური ურთიერთდახმარება. უპირატესი როლი აქ ეკუთვნის სისტემატურ და ქმედითს კონტროლს დასახულის რეალიზაციისადმი, მუშაკთა მატერიალური სტიმულებისა და მორალური წახალისების შეხამებას, კომუნისტთა პირად მაგალითს. ეს დამაჯერებლად აღინიშნება ახლა საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებსა და პირველადი ორგანიზაციების კონფერენციებზე, პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, რომლებიც განიხილავენ წინასაყრილობო ვალდებულებათა განხორციელების მსვლელობას.

მაგალითად, ყურადღების ღირსია მოსკოვის ოლქის პოდოლსკის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმაშენებელო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მიერ შეძენილი გამოცდილება. ამ საწარმოს მრავალათასიანი კოლექტივი წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, ნაწარმის ხარისხის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის გაუმჯობესებისათვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორია. ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ დაიწყო მუდმივი კონტროლი ვალდებულებათა შესრულებისადმი. მასში აქტიურად მონაწილეობენ ფართო საზოგადოებრიობა, პროფკავშირული ორგანიზაცია, სახალხო კონტროლის, „კომკავშირული პროუექტორის“ საგუშაგოები, კედლის პრესა. რეგულარულად იმართება მასობრივი რეიდები, ურთიერთშემოწმებანი. კომუნისტი ხარატის მ. ზახაროვის ინიციატივით წარმოების 1.600-ზე მეტმა მუშამ შეადგინა და ახორციელებს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მუშაობის პირად გეგმებს. თუ ხუთწლედის დამდეგისათვის ქარხნის პროდუქციის საერთო გამოშვებაში ახალი ნაწარმის წილი აქ მხოლოდ დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენდა, წელს მან 55 პროცენტს მიაღწია.

შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილება მასობრივი შრომითი წარმატებების სკოლაა. ამ გამოცდილებით შეავაიარაღონ ყველა საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები — ნიშნავს უზრუნველვყოთ მათი წინსვლა, შევქმნათ პირობები, რომელთა დროს უფრო სრულად ვლინდება ადამიანთა უნარი და ნიჭი. ფართოდ უნდა დავუჭიროთ მხარი შეჯიბრების სხვადასხვა ფორმასა და ორგანიზატორული მუშაობის მეთოდებს, რომელებსაც რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიული ორგანიზაციები, — ხუთწლედის მოწინავენი იყენებენ. მაგალითად, დიდი სარგებლობა მოაქვს შეჯიბრებას დარგების, პროფესიების მიხედვით. მონათესავე კოლექტივებს შორის, რაც აქტიურად გავრცელდა უკრაინაში. მოსკოვის მშრომელთა წარმატებებს ბევრად უწყობენ ხელს ვალდებულებათა შესრულების შემოწმების მასობრივი რეიდები, შეჯიბრების შედეგების სისტემატური განხილვა პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, კომუნისტების კრებებსა და მუშათა კრებებზე.

სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარება და მისი ეფექტიანობის ამაღლება, ამ შეჯიბრებაში თვითეული მშრომელის ნაყოფიერი მონაწილეობა ბევრად არის დამოკიდებული საამქრო, ბრიგადების პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების მიზანმიმართულ მუშაობაზე. მათ სხვაზე მეტად შეუძლიათ განჭვრიტონ შეჯიბრების მსვლელობა, დროულად გაუწიონ დახმარება, მხარი დაუჭირონ ინიციატივას, შეუსწორონ იმათ, ვინც დაპირებას მალე იძლევა, მაგრამ მისი შესრულებისათვის თავს არ იწუხებს. პარტიული ორგანიზაციები ბეჯითად უნდა ამაღლებდნენ კომუნისტთა ავანგარდულ როლს წარმოებაში, მათს პასუხისმგებლობას ვალდებულებათა ბეჯისათვის, იმათი შრომის შედეგებისათვის, ვინც მათ გვერდით მუშაობს. კოლექტივების წინასაყრილობო შეჯიბრებას დიდმნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს პროპაგანდისტთა, პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა საქმიანობაში, პარტიული ორგანიზაციების მთელ იდეოლოგიურ მუშაობაში.

სიტყვისა და საქმის ერთიანობა ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. მაგრამ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საჭირო მომთხოვნელობას არ იჩენს იმ მუშაკებისადმი, რომლებიც ივიწყებენ, რომ საჭიროა კონკრეტული საქმეებით განამტკიცებდნენ კოლექტივების ვალდებულებებს. საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე კომუნისტები სამართლიანად აკრიტიკებენ იმ ხელმძღვანელებს, რომლებმაც ტრიბუნიდან ახალი ჩანაფიქრები დაიტრაბახეს და ამას დასჯერდნენ.

წინასაყრილობო ვალდებულებანი მილიონობით მშრომელის ნებასურვილია. მათში ჩანს შემოქმედებითი ძიება, მომთხოვნი ეკონომიური ანგარიში, ნოვატორული გაბედულება და მუშური ოსტატობა. დასახულის წარმატებით განხორციელებისათვის ყოველდღიური ზრუნვა პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების, თვითეული კომუნისტის პირდაპირი მოვალეობაა!

## საკდესის ცნობა

# „ლუნოხოდ-1“ ასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის პროგრამას

**18 ნოემბერს** 23 საათზე მოსკოვის დროით დაიწყო რადიო და სატელევიზიო კავშირგაბმულობის მორიგი სეანსი საბჭოთა ავტომატური აპარატიდან „ლუნოხოდ-1“-დან. მუშაობის პროცესში წყდებოდა შემდეგი ძირითადი ამოცანები: თვითმავალი ავტომატური აპარატის მართვის მეთოდების დამუშავება, ადგილისა და მისი დამახასიათებელი მონაკვეთების პანორამული მიმოხილვა, დაგეგმილი სამეცნიერო ექსპერიმენტების განხორციელება. სეანსი 4 საათსა და 40 წუთს გაგრძელდა.

საბორტო სისტემების შემოწმებისა და მზის ბატარიის საჭირო მდგომარეობაში დაყენების შემდეგ თვითმავალი აპარატი რამდენიმე მეტრით დაშორდა დგომის ადგილს და ისე შემობრუნდა, რომ ტელეფოტომეტრის მხედველობის არეში მოხვდა „ლუნა-17“ სადგურის დასაჯდომი საფეხური.

შემდეგ მთვარემავალი შემობრუნდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით შემდგომი მოძრაობის მარშრუტზე გასასვლელად.

ტრასა შედარებით სწორ ადგილას გადიოდა, რომლის ღრმულებისა და ბექობების დახრილობის კუთხეები ათამდე გრადუსი იყო. თვითმავალი აპარატის გზაზე იყო შედარებით მცირე ზომის ქვები და კრატერები, აპარატმა გადალახა მთვარის დაბალი სერი.

სატელევიზიო დაკვირვებისა და რადიოტელემეტრიის სისტემებმა საშუალება მისცეს ოპერატორებს, რომლებიც ახორციელებენ მთვარემავლის მართვას შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრიდან, ზუსტად ეტარებინათ თვითმავალი აპარატი მარშრუტით, კონტროლი გაეწიათ დაბრკოლებათა გავლისათვის და თვალყური ედევნებინათ საბორტო სისტემების მდგომარეობისათვის.

ტრასის სხვადასხვა უბანზე მოეწყო მთვარის გრუნტის მექანიკურ თვისებათა და მასის გავლადობის პარამეტრების გაზომვები.

მუშაობის პროცესში თვითმავალმა აპარატმა გაიარა 96 მეტრი.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, თვითმავალის ყველა სისტემა კარგად მუშაობდა, ტემპერატურა ხელსაწყოს ნაკვეთურში იყო პლუს 16 გრადუსი ცელსიუსით, წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 750 მილიმეტრი.

თვითმავალი აპარატის მეცნიერული კვლევისა და გამოცდის პროგრამა მთვარის პირობებში წარმატებით სრულდება.

**საბჭოთა** მთვარემავალი პირველად კვალავს გზას წვიმების ზღვის ვაკეზე. იგი მიდამოს აკვირდება ყოველსმხილველი ტელეთვალით და თავის ალმოჩენებს გადმოსცემს დედამიწაზე. ეს ფანტასტიკაა, რომელიც რეალობა გახდა...

ნახატი ფანტასტი მხატვრის ა. სოკოლოვისა.

# საოცარი მიღწევაა

ჩვენ 1970 წლის მანძილზე საბჭოთა მეცნიერების განსაცვიფრებელი მიღწევების მოწმენი გავხდით. ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-16“-მა ჩამოგვიტანა მთვარის ქანის ნიმუში, რომლის ყოველმხრივ კვლევამ დიდი მასალა მოგვცა მთვარის შედგენილობის შესწავლის თვალსაზრისით. 17 ნოემბერს კი მთვარის ზედაპირზე რბილად დაჯდა „ლუნა-17“ ავტომატური სადგური, რომლის ამოცანა მეტად ფართო და მრავალფეროვან პროგრამას მოიცავს. ეს სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია კოსმოსური სივრცისა და პლანეტების შესწავლის საქმეში. ეს კოსმოსის კვლევის პრინციპულად ახალი მიდგომაა, რომელიც იმდენად ფართო პერსპექტივებს სახავს მზის სისტემის პლანეტების შესწავლაში, რომ მოსალოდნელი მიღწევების წარმოდგენაც კი გაგვიძნელდება.

პრინციპში, როგორც ჩანს, შესაძლებელი ხდება ისეთი მოძრავი კოსმოსური ლაბორატორიების შექმნა, რომლებიც საკმაოდ დიდ ფართობზე იმოძრავებენ მთვარის ზედაპირზე და მოგვცემენ დიდძალ ინფორმაციას მისი შესწავლისათვის. აქ ჩვენ სხვა პერსპექტივაც გვესახება: ალბათ ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება ასეთი ავტომატური ლაბორატორიების გაგზავნა მზის სისტემის სხვა პლანეტებზე და იქიდანაც საჭირო მასალის ჩამოტანა.

დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს და ყველა იმათ, ვინც ეს თანამედროვე მეცნიერების მართლაც რომ საოცარი მიღწევა განახორციელა!

**ა. ბუხნიკაშვილი.**
გეოლოგიკა-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

# ახალი ეტაპი მთვარის კვლევაში

**1970 წლის 17** ნოემბერს „ლუნა-17“ ავტომატური სადგური რბილად დაჯდა მთვარის ზედაპირზე წვიმების ზღვის რაიონში.

ამ საოცარმა ამბავმა, რომელიც უკვე მთელ მსოფლიოს მოედო, ჩვენც, მუშათა კლასის წარმომადგენლებიც, აღგვაფრთოვანა.

კოლეგიებთან ერთად, საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად აღტაცებული ვარ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი წარმატებებით, რომლებიც კიდევ უფრო ფართო პერსპექტივებს სახავენ ჩვენ ქვეყანას. ეს ახალი ეტაპია, ეს ახალი ვალდებულება ბათუმის მრეწველობის მშრომელებმა სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის იკისრეს.

● **ახალციხე.** აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს დიატომიტის ზახტის სამთოელებმა ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით უკვე ამოიღეს 11.700 ტონაზე მეტი დიატომიტი. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 9 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 657 ათასი მანეთი მოგება.

წლის ბოლომდე დამატებით ამოვიღებთ 16.300 ტონამდე დიატომიტს და ვადამდე შეგასრულებთ მომავალი წლის პირველი კვარტალის დავალებას. ასეთია სამმართველოს კოლექტივის გადწყვეტილება.

# ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ



**გვატყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები**

● **თბილისი** წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კომუნისტური შრომის კოლექტივმა შეასრულა სკკპ 24-ე ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და 30 ოქტომბერს გაანაღდა მთლიანი პროდუქციის წარმოების ხუთწლიანი გეგმა.

პროგრესული ტექნოლოგიის, მაღალი წარმადობის მოწყობილობის დანერგვის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის შედეგად პროდუქციის გამოშვების საერთო მოცულობა ხუთწლედში 1965 წლის დონესთან შედარებით საგრძნობლად გადიდდა. შრომის ნაყოფიერების ხუთწლიანი გეგმა ქარხანამ მიმდინარე წლის 24 აგვისტოსათვის შეასრულა.

წარმოების საერთო მოცულობის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად.

წლის ბოლომდე ქარხნის კოლექტივი ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვებს რამდენიმე მილიონზე მეტი მანეთის პროდუქციას.

● **ბათუმი.** ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა პირნათლად გაანაღდეს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ნაკისრი ვალდებულება, საოქტომბრო დღესასწაულზე უპატაკეს სამობლოს ხუთწლიანი გეგმის შესრულება. ქალაქის მრეწველობა წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვებს 30 მილიონამდე მანეთის პროდუქციას. ეს ახალი ვალდებულება ბათუმის მრეწველობის მშრომელებმა სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის იკისრეს.

## ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ

ესტონეთის სს რესპუბლიკის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო წარმოების მთლიანი მოცულობის დარგში.

გასწრებით სრულდება მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის პროდუქციის, მინერალური სასუქების, ტრიკოტაჟისა და შეკერილი ნაწარმის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების, ფეხსაცმლის წარმოების დავალებანი. სწრაფი ტემპით იზრდება ელექტროენერგიის წარმოება, თევზჭერა, ყველის წარმოება.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების შესაბამისად, ხუთწლედის მანძილზე ამოქმედდა ესტონეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პირველი აგრეგატები, დამთავრდა აზოტიანი სასუქის ქარხნის მშენებლობა, ახალი სიმძლავრეები ამოქმედდა ქიმიურ და ფიქალქიმიურ კომბინატებსა და მთელ რიგ სხვა სამრეწველო საწარმოებში.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. მარცვლეულის საშუალო წლიურმა მოსავალმა ხუთწლედის მანძილზე შეადგინა ჰექტარზე 21,5 ცენტნერი, ანუ 42 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში. 1966-1970 წლებისათვის დადგენილი დავალება სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ძირითად სახეობათა პროდუქტების მიყიდვის დარგში შესრულებულია ვადამდე.

(საკდესი).

**თბილისის** სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა გალინა ბარათაშვილი. ახალგაზრდამ მალე ითვისა მჭოველის პროფესია. ხულ სამი წელია კომბინატის სატრიკოტაჟო საამქროში შრომობს, მაგრამ კოლექტივის ერთ-ერთი მოწინავე მუშად ითვლება. კომუნისტური შრომის დამკვრელი გ. ბარათაშვილი ახლა სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაშია ჩაბმული და ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ახრულებს. **სურათზე:** კომუნისტური შრომის დამკვრელი, მჭოველი გ. ბარათაშვილი.

ფოტო ა. ვაჩიანისა.

# მის აღმატებულებას პაკისტანის პრეზიდენტს გენერალ აღა მოჰამად იაჰია ხანს

ისლამაბადი

**საბჭოთა** ხალხის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მეგობარი პაკისტანის ხალხსა და მთავრობას, აგრეთვე პირადად თქვენ, პატივცემულო მატონო პრეზიდენტო, გულწრფელ თანაგრძნობას გიცხადებთ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით, რომელიც თავს დაატყდა აღმოსავლეთ პაკისტანის სანაპირო რაიონებს.

გთხოვთ ჩვენი ღრმა სამძიმარი გადასცეთ დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებს.

**ნ. პოდგორნი** **ა. კოსიგინი**

მოსკოვი, კრემლი. 1970 წლის 16 ნოემბერი.

# ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲕᲔᲜᲔᲠᲐ-7“ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ ᲤᲠᲔᲜᲐᲡ

**საკდესის ცნობა**

**ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ** საპლანეტათშორისო სადგური „ვენერა-7“, რომელიც საბჭოთა კავშირში გაუშვეს 1970 წლის 17 აგვისტოს, განაგრძობს ფრენას ჰელიოცენტრული ორბიტით პლანეტა ვენერას მიმართულებით.

განვლილი პერიოდის მანძილზე „ვენერა-7“ სადგურთან მოეწყო რადიოკავშირის 85 სეანსი, რომელთა დროს შესრულდა სადგურის მოძრაობის ტრაექტორიის გაზომვა და მიღებული იყო დიდძალი ტელემეტრიული ინფორმაცია კოსმოსურ სივრცეში მიმდინარე ფიზიკური პროცესებისა და საბორტო სისტემების მუშაობის შესახებ.

ფრენის პროგრამის შესაბამისად, 17 ნოემბერს 12 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით განხორციელდა სადგურის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია.

ავტომატური სადგური „ვენერა-7“ მოძრაობს ტრაექტორიით, რომელიც გაანგარიშებულს უახლოვდება, და პლანეტა ვენერას მიაღწევს 1970 წლის 15 დეკემბერს. 17 ნოემბრისათვის სადგური დედამიწას დაშორებული იყო 31,5 მილიონი კილომეტრი მანძილით.

შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრს „ვენერა-7“ სადგურთან აქვს მყარი რადიოკავშირი.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ, ტემპერატურა და წნევა ხელსაწყოს ნაკვეთურებში გაანგარიშებულს ფარგლებშია.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

# სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღის აღსანიშნავად

**საკდესის ცნობა**

საქართველოს მშრომელებმა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საზეიმოდ აღნიშნეს ტრადიციული დღესასწაული — სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღე.

18 ნოემბერს თბილისის ოფიცერთა სახლში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა, თბილისის გარნიზონის ნაწილების წარმომადგენელთა კრება, რომელიც ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ნ. გოშაძემ. სამხედრო ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

მოხსენება სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღის შესახებ გააკეთა არტილერიის გენერალ-მაიორმა ი. ვ. გრეგორიუკმა.

საზეიმო კრების მონაწილენი გაეცნენ ფოტოგამოფენების, მასალებს, რომელნიც ასახავენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების საქმიანობას და ამიერკავკასიის მეომრებმა — მერაკეტიერებისა და არტილერისტების სასწავლო დღეებს.

დასასრულ გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის თეატრებისა და საქართველოს ფილარმონიის მსახიობები. (საკდესი).

**ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში**

# ყველა რეზერვი რომ აამოქმედონ...

**ავტომშენებელთა კონფერენციაზე**

დელეგატებმა დაამთავრეს საანგარიშო მოხსენების განხილვა... პარტიული კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. ეს იყო დიდი ნდობა, რომელიც თავისით არ მოსულა.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი კარგი მაჩვენებლებით შეხვდა საწარმოს კომუნისტთა XX ფორუმს. ავტომობილმშენებლები თავდადებით შრომობენ, სულ უფრო აუმჯობესებენ მუშაობას, რათა ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას და საქართველოს საიუბილეო თარიღებს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათ წარმატებით შეასრულეს საერთო და სასაქონლო პროდუქციის როგორც გამოშვების, ისე რეალიზაციის ათი თვის დავალება.

ამ მიღწევების მოპოვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლამ. ამიერიდან ფართო გასაქანი მიეცა შიდასაქარხნო რეზერვებს, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, დაჩქარდა ტექნიკური პროგრესი, მეტი ყურადღება მიექცა წარმოებაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას, რაციონალიზაციასა და გამომგონებლობას.

კონფერენციაზე პარტიული კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოსულმა პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. კუხალეიშვილმა, აერთვე კამათის მონაწილე კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ საწარმოს პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრისა და 1970 წლის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ქარხნის კოლექტივის მიერ უკანასკნელ პერიოდში მოპოვებული წარმატებანი განაპირობა წარმოების გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტთა სწორად განაწილებამ, მათი ავანგარდული როლის ამაღლებამ, პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფამ, მინდობილი საქმისათვის ადამიანთა პასუხისმგებლობის გაძლიერებამ.

პარტიული კომიტეტი, საამქროთა და განყოფილებათა პარტორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწეოდნენ ავტომშენებელთა აღზრდისათვის მარქსისტულ-ლენინური სულისკვეთებით. გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, გაიზარდა პარტიული ბირთვი არჩევითს კომკავშირულ ორგანოებში, უფრო ქმედითი გახდა სახალხო კონტროლიორთა საქმიანობა.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულებაზე სულ უფრო მეტ გაკვლევას ახდენს სოციალისტური შეჯიბრება.

ქარხნის კოლექტივის ძირითადი საზრუნავი იყო და კვლავაც არის პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლება. ამ მიზნით აქ პერიოდულად ეწყობა ხარისხის გაუმჯობესების ორთვიური.

ავტომშენებელ კომუნისტებს კარგად ესმით, რომ რაც უფრო მაღალია პროდუქციის ხარისხი, მით უფრო ეფექტიანი და ნაყოფიერია საზოგადოებრივი შრომა. სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება თავის გამოსვლაში ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა შ. ბობოხიძემ. თუმცა, როგორც ეს ამ ორატორმა და სხვა დელეგატებმაც აღნიშნეს, საამქროთა ზოგიერთი სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელი დანაშაულებრივად სცოდავს, აიძულებს ტექნიკური კონტროლის მუშაკებს საამწყობო უბანზე გაუშვან აწკაოად წუნდებული დეტალები და კვანძები. სწორედ საქმისადმი ასეთი მიდგომის შედეგია ის, რომ მიმდინარე წლის 9 თვეში მომხმარებელთაგან მიღებულია 33 რეკლამაცია, რითაც ქარხანამ 4.148 მანეთი დაკარგა. ამას გარდა წუნით გამოწვეულმა შიდასაქარხნო ზარალმა 475.244 მანეთი შეადგინა.

ყოველივე ეს იმის შედეგიც არის, რომ ქარხანაში დავიწყებას მიეცა პროდუქციის უდიფექტოდ დამზადებისა და პირველი წარდგენით ჩაბარების სარატოველთა პროგრესული მეთოდით მუშაობა.

ქარხნის დირექტორმა ვ. ბარეიბავამ, მთავარმა ტექნოლოგმა რ. ქარციგაძემ, ძრავის საამქროს ოსტატმა ო. შენგელიამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ქარხანაში დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა შჩიკინოს ქიმიური კომბინატის პარტიული კომიტეტის გამოცდილების გასავრცელებლად, გამომუშავების არსებული ნორმების გადახედვისა და სამმართველო აპარატის სრულყოფისათვის. პარტიული ორგანიზაციების კრებებზე განხილულ იქნა სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი. დასახულ იქნა საქმიანი ღონისძიებანი. ცხადია, ყოველივე ამან კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია ქარხნის საფინანსო-ეკონომიურ მაჩვენებლებზე, სახელმწიფო გეგმების შესრულებაზე, მაგრამ წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ საგეგმო, შრომისა და ხელფასის, ბუღალტერიისა და საფინანსო განყოფილებების მუშაკები მეტ ქმედითობას და ოპერატიულობას იჩენდნენ.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის ქარხანაში ზენორმატიულმა ნაშთებმა 940 ათასი მანეთი შეადგინა. ამავე პერიოდში მასალებისა და ნახევარფაბრიკატების გაფუჭების თუ დაკარგვის გამო წარმოებამ იზარალა 53.216 მანეთი. მიმდინარე წლის 9 თვეში სხვადასხვა ორგანიზაციების დასაკმაყოფილებლად მარტო ჯარიმების სახით გადახდილია 621 ათასი მანეთი, აქედან ვაგონების მოცდენაზე — 85.902 მანეთი, ხოლო ტარის დროულად დაუბრუნებლობაზე — 65 ათასი მანეთი.

საანგარიშო პერიოდში ერთგვაროდ გაუმჯობესდა კადრების შერჩევა, აღზრდა და განაწილება, მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები. მაგრამ ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

# ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

## ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ადიგენი. (საკკორ.). პარტიის რაიონულ კომიტეტში მოეწყო ახლადარჩეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი. მოხსენებით — „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგები და რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“ გამოვიდა საქართველოს კპ ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი ა. ჩილიბაშვილი.

სოფელ არლის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ლ. თათაშვილმა, მოხის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. ტაბიძემ, „საქსოფლტექნიკის „რაიონული განყოფილების პარტორგანიზაციის მდივანმა ვ. ზენაიშვილმა და სხვებმა დამსწრეთ გაუზიარეს წინასაარჩევნო და წინასაიუბილეო სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელ ობის გამოცდილება.



## ᲧᲣᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲕᲔᲒᲘ

უემოდგომა მიიწურა. ზამთარი კარზეა მომდგარი. ამიტომ მეცხოველეებს დიდი საზრუნავი აქვთ. საზოგადოებრივი პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის აუცილებელია ამთავითვე მოვიმარაგოთ საკმაოდ უხეში და წვნიანი საკვები, დავამუნოთ პირუტყვის სადგომები, დროულად დავამთავროთ რემონტი.

ამ მხრივ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხასკარის კოლმეურნეობაში. უხეში საკვების მომარაგებასთან ერთად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ყუათიანი საკვების — სილოსის დამზადება. გეგმით უნდა ჩაედოთ 850 ტონა სილოსი. ეს სამუშაო უკვე დაამთავრეს. სილოსის დამზადებაში თავი გამოიჩინეს კოლმეურნეებმა გ. გაბაჩიკაძემ, ა. სიჭინავამ და სხვებმა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ სილოსის ჩადების მომენტს ჯიხასკარის კოლმეურნეობაში.

ფოტო რ. ფიფიასი.

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ, ᲛᲔᲗᲑᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲒᲕᲘᲠᲐᲜᲓᲐ

**ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ**

**ფ. ენგელსის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია**

საბჭოთა მეცნიერები მთელ ჩვენ ხალხთან ერთად აღნიშნავენ ფ. ენგელსის დაბადების 150 წლისთავს. ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საიუბილეო-სამეცნიერო სესია, რომელიც 17 ნოემბერს გაიმართა მოსკოვის მეცნიერთა სახლში.

სესია გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფ. ენგელსმა ბევრი რამ გააკეთა პოლიტეკონომიის, ფილოსოფიისა და მეცნიერული სოციალიზმის, მარქსიზმის რევოლუციური თეორიის საფუძვლების განვითარებისათვის. ენგელსის თეორიული ნაშრომები უძვირფასესი წვლილი იყო დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შექმნაში. პოლიტიკური ეკონომიისადმი დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისტული ეკონომიური თეორიის შექმნისათვის. დიდია ენგელსის დამსახურება მომავალი სოციალისტური საზოგადოების პრობლემების დამუშავებაში.

ფრიდრიხ ენგელსის 150 წლისთავის იუბილეს დღეებში აღვნიშნავთ არა მარტო მის უდიდეს რევოლუციურ და მეცნიერულ დამსახურებას, მის წვლილს მარქსიზმის განვითარებაში, არამედ მისი თეორიული მემკვიდრეობის უდიდეს მნიშვნელობას თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის, კომუნიზმის საქმისათვის.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, აკადემიკოსმა ბ. ნ. პონომარიოვმა, რომელმაც ილაპარაკა იმაზე, თუ რა როლი შეასრულა ფ. ენგელსმა რევოლუციური თეორიის შექმნასა და მუშათა მოძრაობის განვითარებაში.

თავისი ტრიუმფით, თქვა მან, მარქსიზმი დიდად დავალებულია ფრიდრიხ ენგელსისაგან, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა მეცნიერული კომუნიზმისა და პროლეტარული რევოლუციის საქმეს. მარქსისტული „მეცნიერება, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — შექმნა ორმა მეცნიერმა და მებრძოლმა“. „მარქსიზმს ვერ გავიგებთ და მთლიანად ვერ ჩამოვაყალიბებთ, თუ არ გავითვალისწინეთ ენგელსის ყველა თხზულება“.

ბ. ნ. პონომარიოვმა მოკლედ დაახასიათა ენგელსის თვალსაჩინო, დამოუკიდებელი წვლილი მარქსისტული ეკონომიური მოძღვრების, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, მეცნიერული სოციალიზმის დამუშავებაში.

ახლანდელ პირობებში, განაცხადა ორატორმა, როცა ოპორტუნისტები ამტკიცებენ, თითქოს მუშათა კლასი კარგავდეს თავის ავანგარდულ პოზიციებს რევოლუციურ ბრძოლაში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენგელსის აზრს იმის შესახებ, რომ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებასთან ერთად მუშათა კლასის როლი განუხრელად ამაღლდება, და მით უფრო საფუძვლიანად უნდა დაეუფლოს იგი ექსპლოატატორებთან რევოლუციური ბრძოლის ყველა ფორმას, თვით შეიარაღებული აჯანყებისა და რევოლუციური ომების წარმოებას — ასეთი იყო მარქსისა და ენგელსის ურყევი თვალსაზრისი.

სხვადასხვა ქვეყანაში სოციალიზმზე გადასვლის კანონზომიერებათა შესახებ ენგელსის ღრმა აზრები დღესაც გზის მანათობელი ვარსკვლავია კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის. აღნიშნავდა რა ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმზე გადასვლის კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინების საჭიროებას, ენგელსი მუდამ ხაზს უსვამდა რევოლუციის ზოგად კანონზომიერებათა გადამწყვეტ მნიშვნელობას, რომელთაგან კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში უმთავრესია პროლეტარიატის დიქტატურა.

ბ. ნ. პონომარიოვი დაწვრილებით შეეხო ფ. ენგელსის როლს მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში, აღნიშნა მისი მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები.

გამოსვლის დიდი ნაწილი მიეძღვნა იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს დიდი რევოლუციონერის მემკვიდრეობას თანამედროვეობისათვის. ფრიდრიხ ენგელსი, თქვა ორატორმა, ახლოებელია ჩვენთვის, მარქსიტ-ლენინელებისათვის, რომლებიც ეწევიან დღევანდელობის კონკრეტულ ამოცანებს.

მარქსისა და ენგელსის იდეები, რომლებიც შეავსო და განავითარა ვ. ი. ლენინმა, — ჩვენი პარტიის საქმიანობის თეორიული საფუძველია პირველი დღეებიდანვე. დღეს ეს იდეები სულ უფრო სრულად და ყოველმხრივ ისხამს ხორცს კომუნისტების, დემოკრატების, ყველა რევოლუციონერისა და პროგრესის მომხრის ბრძოლაში. ახლა მარქსენგელს-ლენინის იდეები უალრესად ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამას მოწმობს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულის ჭეშმარიტად მსოფლიო გაქანება. ამასვე მოწმობენ ახლანდელი იუბილეს მასშტაბი და საერთაშორისო ხასიათი.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა დაგვიტოვეს დიადი მემკვიდრეობა, რომელიც მრავლდება რევოლუციურ ბრძოლაში, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში. დიდი ლენინის პარტიამ, ხაზგასმით აღნიშნა ბ. ნ. პონომარიოვმა, მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნისათვის სოციალური ბრძოლის მოწინავე ხაზზეა.

იმაზე, თუ რა უდიდესი შემოქმედებითი წვლილი შეიტანეს ფ. ენგელსმა მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილის დამუშავებაში, ხესიაზე ილაპარაკა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა. მან აღნიშნა, რომ ენგელსმა მარქსთან ერთად არა მარტო დაამუშავა მატერიალისტური მსოფლმხედველობა, არამედ თავის ნაშრომებში მოგვცა მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენების ნიმუშები საზოგადოებრივი განვითარების აქტუალური პრობლემების ანალიზისადმი. ეს ნაშრომები გვასწავლიან საწარმოო ძალების განვითარების სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური შედეგების ანალიზს, ისტორიული პროცესების პერსპექტივების განჭვრეტას.

თემას „ფ. ენგელსი და ბუნებისმეტყველება“ მიეძღვნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს ბ. მ. კედროვის მოხსენება. მან განაცხადა, რომ მეცნიერებამ მთლიანად დაადასტურა ენგელსის შესანიშნავი პროგნოზები, არა ერთი ტრიუმფი მოუტანა ბუნებისმეტყველების დიალექტიკას. უფრო მეტიც, თვით მეცნიერება დღეს ვითარდება მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი იდეებისა და პრინციპების სულისკვეთებით, რომლებსაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა ენგელსმა. ახლა იგი გაცილებით მეტად არის განმსჭვალული ბუნების საყოველთაო კავშირისა და განვითარების, სამყაროს ერთიანობისა და თვით მეცნიერებათა ერთიანობის დიადი იდეებით, ვიდრე განსული საუკუნის დამლევს.

ენგელსი, როგორც დიალექტიკოსი მეცნიერი, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, თანამედროვე მეცნიერებაში ცოცხლობს თავისი უკვდავი ნაშრომებით, თავისი იდეებითა და წინასწარხედვით, მის მიერ შემუშავებული დიალექტიკის დიადი პრინციპებით, რომლებიც სულ უფრო ფართოდ იჭრებიან მეცნიერებაში და განუყოფლად ბატონობენ იქ. (ბატაგელი).

**ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ — „ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ“**

# ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ, ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ

დოცენტ ნინო ძიძიგურის მიერ გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 17 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში — „გვინდა თუ არა შუამავალი“ – აღძრული საკითხები სისხლსორცეულად არის დაკავშირებული თანამედროვეობასთან. სწავლა-განათლება იყო, არის და იქნება საზოგადოებრივი განვითარების ყველაზე აქტუალური მნიშვნელობის პრობლემა. ბევრს აფიქრებს და აწუხებს საშუალო და უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებული საკითხი.

უდავოდ გართულდა სამუალო სკოლის პროგრამა. ეს არც არის გასაკვირველი. მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციაა და მისგან გამოწვეული ძვრები კვლავაც მოახდენენ ცვლილებებს სათანადო დისციპლინებში, მათი შესწავლის პროგრამებსა და გეგმებში.

ზემოთქმულის მიუხედავად არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია სასწავლო საათების საგნობრივ განაწილებაში. წლიულს ქართული ლიტერატურის მეათე კლასის პროგრამაში დამატებით არის შეტანილი ჩვენი სასიქადულო მწერლების კ. გამსახურდიასა და გ. აბაშიძის ნაწარმოებები. ამის მიუხედავად, ამ საგნის სწავლებისათვის შარშან და წინათ არსებული 4 საათის ნაცვლად, კვირაში 3 საათი დაუწესეს. ეს კი შესაბამისი დისციპლინის მასწავლებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ზოგიერთ საშუალო სკოლაში სწავლის დაბალ დონეს მასწავლებელთა მოუმზადებლობით ეხსნით და სტუდენტთა აკადემიურ ჩამორჩენას სკოლას ვაბრალებთ. ეს უსამართლო განაჩენია. მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლაში არსებული ნაკლოვანებების მიზეზები უნდა ვეძიოთ იქ კომისიების საქმიანობაში, რომლებიც საშუალო სკოლის „ზამთავრებელ, უმაღლესში შესასვლელ და მისი დამთავრების გამოცდებს იბარებენ. პრიველნი ყველას არ უნდა აძლევდნენ სიმწიფის ატესტატს, მეორენი ობიექტურად უნდა აფასებდნენ აბიტურიენტთა ცოდნას, მესამენი ეღირსა არ უნდა აკუთვნებდნენ ჰედაგოგის კვალიფიკაციას.

საყოველთაო საჯალდებულო სწავლების შემოღება არ უნდა განსაზღვრავდეს აბიტურიენტთა რაოდენობას. უმაღლესში ჩასარიცხ საკონკურსო გამოცდებზე უნდა დავუშვათ არა ყველა, არამედ სათანადოდ მომზადებული ახალგაზრდობა, რომლის ცოდნა თვით საშუალო ობიექტურად იქნება შეფასებული. საამისო რეკომენდაციას, სიმწიფის ატესტატში ფიქსირებული ნიშნებისა და ქულების გარდა, უნდა იძლეოდეს თვით სკოლა. ამით გაიზრდება სკოლის ავტორიტეტი, მოისპობა „მას და უმაღლეს სასწავლებელს შორის შუამავლის საჭიროების საფუძველი.

დოცენტი ნინო ძიძიგური მართალი არ არის, როცა მხარს უჭერს მეადლოსანთა მიერ მისაღები გამოცდების ჩაბარების საჭიროებას. მეადლი იყო, არის და კვლავაც უნდა იყოს მუყაითი და წარჩინებითი სწავლის სიმბოლო. პირიქით, რეალური მეადლის მფლობელი უეჭველად უნდა ჩაირიცხოს მისთვის სასურველ სპეციალობაზე. მეადლოსანთა გათანაბრება ჩვეულებრივ, მათ შორის სამოსან აბიტურიენტებთან დაუშვებელია. ასეთი მეთოდი უარყოფითად იმოქმედებდა სკოლის ავტორიტეტზე.

ამას წინათ სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ განიხილა სკოლებში საშინაო დავალებათა ორგანიზაციის მდგომარეობა, დააწესა მათი შესრულების ზღვრული ნორმები. ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება შემდგომ დიფერენციაციას მოითხოვს, იქნებ აჯობოს, რომ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარის შესწავლის საფუძველზე შემოვიღოთ ინდივიდუალურ დავალებათა პრაქტიკა.

აბიტურიენტთა უმრავლესობა მოკლებულია მსჯელობის, დამოუკიდებელი აზროვნების უნარს. ამის ერთ-ერთი მიზეზია სკოლაში საშინაო დავალების არასწორი ორგანიზაცია. ზოგიერთი პედაგოგი საშინაო დავალების მიცემით ამთავრებს ყველაფერს, ცოტას მუშაობს მოსწავლეებთან, არა აქვს მათთან ცოცხალი კავშირი.

არსებითი ნაკლოვანებანი გვაქვს სახელმძღვანელოობის გამოცემის საქმეში. უმაღლესში შემსვლელთა დამზმარე სახელმძღვანელოობის გამოცემით მართლაც დაქვეითდა საშუალო სკოლის პასუხისმგებლობა, სრულყოფილი ქართული სახელმძღვანელოების გამოცემის საჭიროება ეხება როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სკოლას. გარდა ამისა, საშუალო სკოლის ზოგიერთ სახელმძღვანელოში უხეში შეცდომები გვხვდება.

სახელმძღვანელოთა ნაკლებობას განიცდიან სტუდენტები. მაგალითად, თბილისის უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1949 წლის შ. ბერაძის მიერ გამოცემულ ეკონომიურ სტატისტიკას და 1955 წლის რუსულიდან თარგმნილ სამრეწველო სტატისტიკას, არ გააჩნიათ ქართულ ენაზე დაწერილი სტატისტიკური დისციპლინის სახელმძღვანელოები. ამის გაკეთება კი შეიძლება.

მოსაგვარებელია მისაღები გამოცდებისათვის დაწესებული მაპროფილებელი საგნების სტრუქტურა. აი ერთი მაგალითი. უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე შემსვლელნი მათემატიკასაც აბარებენ. იგი, როგორც მაპროფილებელი საგანი, პირველად ბარდება. ხშირად გეოგრაფიის ნამდვილი მცოდნე და მოსიყვარულე ძირითად საგანმდე ვერ აღწევს, მაშინ როცა მათემატიკაში მიღებული სამაინბანი ზოგიერთი ამ სპეციალობაზე ჩაირიცხება. ასეთ გაუგებრობას თავიდან ავიცილებთ იმ შემთხვევაში, თუ ძირითად საგანს (სპეციალობის მიხედვით) ჩავაბარებინებთ პირველად და ამ გამოცდაში მიღებულ ნიშნებს დაგუქვედბარებთ შემდეგ დისციპლინებს.

აბიტურიენტი სპეციალურ საგანს ყოველმხრივ უნდა ფლობდეს. მასში უნდა ეწერებოდეს უმაღლესში შესასვლელად საჭირო ნიშანი, შეიძლება ქულაც. დანარჩენ საგნებში შეფასება ჩათვლის წესითაც შეიძლება.

კიდევ ერთი საკითხი. არადამაკმაყოფილებლად წარმოუჩს კარეი, მოწონავე სკოლების გამოცდილების განსოგადოება. ამ მხრივ ბევრს სცოდავს პრესა, „განსაკუთრებით ტელევიზია. საკმაოდ ხანგრძლივი გადაცემები ეძღვნება სპორტულ ცხოვრებას, ცალკეულ სპორტსმენს, მათს მწვრთნელს... ფრაადოსან მოსწავლეთა, კლასის დამრიგებელთა, მასწავლებელთა და დირექტორთა გამოსვლები კი იშვიათია, თითქმის არ ხდება. ეს კი ხელს შეუწყობდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, სკოლის ავტორიტეტის ზრდას.

საშუალო სკოლის მუშაობაში არის სხვა ორგანიზაციული ხასიათის ნაკლოვანებებიც. ერთ-ერთი მათგანია კლასების დაკომპლექტება. მოსწავლეთა - ცოდნის დონეზე ცუდად მოქმედებს კლას-კომპლექტების ამჟამად მოქმედი ნორმა. არსებული მითითების მიხედვით I-VIII კლასებში 40 მოსწავლე უნდა იყოს, IX-X კლასებში კი 35. ფაქტიურად ზოგიერთ სკოლაში ამ ნორმაზე მეტი მოსწავლე ირიცხება. ასეთ პირობებში ძნელდება მოსწავლეთა ცოდნის საფუძვლიანი შეფასება, დიდი დრო და ენერგია მიიქცევ წერითი ნაშეშვერების გასწორებას, გამოვლინებული ავ-კარგის ანალიზს და სხვ. სასურველია, რომ 10-15 პროცენტით მაინც შემცირდეს კლას-კომპლექტების ნორმები.

და, ბოლოს, არ შეიძლება დაგვთანხმოთ დოცენტ ნინო ძიძიგურს იმ საკითხში, თითქოს ახალბედა სტუდენტი მხოლოდ სტუმარივით ზის და ლექციებს ისმენს. უმაღლეს სკოლაში სალექციო საათებს ბარდა შემოღებულია სასემინარო მუშაობა, ეწყობა პრაქტიკული მეცადინეობები, სისტემატურად ფასდება თვითეული სტუდენტის ცოდნა, პრაქტიკული მუშაობის უნარი.

მამ ასე, საჭიროა თუ არა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სკოლას შორის შუამავალი? გადაჭრით დავძენთ — არა! შუამავლის სახით არსებული ყველა ღონისძიება ზედმეტია, ისინი ბალასავენ სკოლის ავტორიტეტს, აბიტურიენტებს კი არასწორი გზისაკენ უბიძგებენ.

სკოლაში მიღებული საფუძვლიანი ცოდნა საკმარისი უნდა იყოს უმაღლესში შესასვლელად.

**Ჯ. ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲗ ᲓᲐᲑᲘᲜᲐᲕᲔᲑᲐᲡ?

**ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ**

უემოდგომის უკანასკნელი თვეა. ახლო-მახლო მთებში უკვე თოვლი მოსულა. ბარშიც ზოგჯერ წვიმის დროს თოვლის ფიფქებს ურევს. სწორედ ასეთ ამინდში უხდებათ შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება კასპის, ქარელისა და ხაშურის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

რესპუბლიკის მეჭარხლეთა შორის გორის რაიონის შემდეგ სახელმწიფოს ყველაზე მეტ ჭარხლის მოსავალს ქარელის რაიონის მშრომელები აბარებენ. მათი პირობაა აიღონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 35.430 ტონა. შაქრის ჭარხალი. პირობის შესასრულებლად ქარელელ მეჭარხლეებს კარგად უშრომიათ, ჭარხლის ნათესებისათვის არ მოუკლიათ მზრუნველი ხელი. ახლა უკვე იმკიან თავიანთი შრომის ნაყოფს. ლედოფლის საბჭოთა მეურნეობას ორი წლის ისტორია აქვს. ახალჩამოყალიბებულ მეურნეობას სათავეში ჩაუდგა ი. გამგებელი. იგი პირველი წლიდანვე კარგად გაუძღვა მეურნეობის საქმეს. აქ თითქმის ყველა დარგი რენტაბელურია.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მეურნეობის მშრომელებმა 80 ჰექტარი შაქრის ჭარხალი დათესეს. გვიანს დროს მორწყეს, კულტივაცია, გამოხშირვა და სხვა საშუშაოები დროულად შეასრულეს. ახლა უკვე აჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს. მეურნეობამ სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოს 2.000 ტონა შაქრის ჭარხალი. ეს დავალება უკვე შესასრულეს.

აქ ნაკისრი ვალდებულების შესრულებით არ კმაყოფილდებიან. მათ გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ სულ მცირე ათასი ტონა ჭარხალი. ამჟამად მინდორში 23 ავტომანქანა კვლავ განუწყვეტლივ ეზიდება მოსავალს. უკანასკნელ დღეებში წვიმების გამო ტალახია, ავტომანქანებს მინდვრიდამ ჭარხლის მოსავლის გადაზიდვა უძნელდებათ. სიძნელეებს დასაძლევად მეჭარხლეებს გამოუყენებიათ ტრაქტორი. ამან საქმე წინ წასწია.

ქვენატკოცის საბჭოთა მეურნეობაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ დროულად, უდანაკარგოდ აიღონ ჭარხლის მოსავალი. ამისათვის მეურნეობის დაპაიშვილი და სხვები, უფრო მეტ მოსავალს — ჰექტარზე სამუალოდ 450 ცენტნერს იღებენ.

შაქრის ჭარხლის მოსავალს უდანაკარგოდ იღებენ ქარელის, ზემო ხვედურეთის, დვანის, დირბის, ქვემო ხვედურეთის კოლმეურნეობებში, კეხიჯვრის, ფცის, ბრეთის, რუსეთის საბჭოთა მეურნეობებში. რაიონში ნოემბრის მესამე ხუთდღიურისათვის აღებული იყო და გადასამუშავებლად აგარის ქარხანას ჩაბარდა 28 ათას ტონაზე მეტი შაქრის ჭარხლის ნედლეული.

რესპუბლიკის მეჭარხლეობის რაიონებს შორის **ხაშურს** მესამე ადგილი უჭირავს, ხოლო მოსავლიანობის სიუხვისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში შარშან პირველი ადგილი დაიკავა. პირველობის შენარჩუნებისათვის ხაშურელები წელს მთელი ენერგიით მუშაობენ. პარტიის რაიონულ კომიტეტს, რაისაბჭოს აღმასკომს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მუდამ ყურადღების ცენტრში აქვთ ზრუნვა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის ზრდისათვის, ხარისხოვანი ნედლეულისათვის. ხორცელ დ ე ბ ა მთელი რიგი ღონისძიებანი იმისათვის, რომ მოსავალი შემჭიდროებულ ვადებში აიღონ. ყველგან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შედგენილია შაქრის ჭარხლის დროულად დაბინავების კალენდარული გეგმა, რომელიც ემყარება აგარის ქარხნის საწარმოო სიმძლავრეს. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სოფლების ოსიაურის, სატივის, ხცის კოლმეურნეობების (თავმჯდომარეები გ. გელაშვილი, გ. ქურდაძე, ს. გოგიბერიძე) მინდვრებში დაძაბული შრომის დღეებია. ყოველდღე 200 ავტომანქანა შაქრის ჭარხლის მოსავალს განუწყვეტლივ ეზიდება აგარის ქარხანაში. ქარხნის სპეციალისტები ხაშურის რაიონიდან მიღებული ჭარხლის ნედლეულით კმაყოფილ არიან.

სულ მალე ხაშურელები სამშობლოს 18.200 ტონა შაქრის ჭარხლის მიყიდვას უპატაკებენ. ასეთია მათი პირობა.

სოფიო მარიდაშვილს არა მარტო **კასპ

# მსოფლიო დღეს

## ITALIA

### დელეგაცია რომში ჩავიდა

**რომი. 18 ნოემბერი. (საკ-დესი). აქ იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დღეს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ა. ი. პელშეს მეთაურობით.**

## KOLONETOI

### ხელშეკრულება პარაფირებულია

**ვარშავა. 18 ნოემბერი. (საკ-დესი). დღეს აქ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ენდრიხოვსკიმ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. შელმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას პოლონეთის და გფრ-ის ურთიერთობის ნორმალიზაციის საფუძვლების შესახებ.**

**პარაფირების შემდეგ გამოვიდა ს. ენდრიხოვსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ მოლაპარაკების წარმატება შეიძლება მიენიშნოთ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯად ორივე ქვეყნის ურთიერთობის არა მარტო ნორმალიზაციის გზაზე, არამედ დადებით ფაქტორად ევროპის ქვეყნების თანაშრომლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებაში.**

**თავის მხრივ ვ. შელმა გაანაცხადა, რომ ხელშეკრულება უნდა გახდეს შემობრუნებითი პუნქტი გფრ-სა და პოლონეთის ურთიერთობაში.**

## CHINA

### შეხვედრა პეკინში

**პეკინი. 18 ნოემბერი. (საკ-დესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი შეხვდა ჩინეთში საბჭოთა კავშირის ახალ საგანგებო და რწმუნებულებიან ელჩს ვ. ს. ტოლსტიკოვს.**

**შეხვედრას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ციაო გუანხუა, ჩინეთის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში ლიუ სინციუანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილების გამგე იუი ჯანი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ხან სიუი.**

**შეხვედრაზე იყვნენ ავრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.**

# უმნიშვნელოვანესი ექსპერიმენტი

**საზღვარგარეთის პრესის ფურცლებზე კვლავ დიდი ადგილი ეთმობა კოსმოსში საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევისადმი მიძღვნილ მასალებს. ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ავტომატური აპარატი „ლუნოხოდ-1“ მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის პროგრამას, გადასცემენ რადიოთი და ტელევიზიით, აშუქებენ ცნობილი მეცნიერები და ტექნიკური სპეციალისტები.**

**ბერლინი.** ბერლინის ტრეპტოვის რაიონის ობსერვატორიის დირექტორმა პროფესორმა დ. ვატენბერგმა განაცხადა, რომ „მთვარის ავტომობილის“ ტრანსპორტირება და დაჯდომა მთვარის ზედაპირზე, როგორიც არის „ლუნოხოდ-1“, „სიზუსტით უმნიშვნელოვანესი ოპერაციაა“. ამით გადაიდგა ნაბიჯი, რომელიც სრულიად ახალ პერსპექტივებს სახავს კოსმოსის კვლევაში, ხაზი გაუსვა პროფესორმა ვატენბერგმა.

როგორც აღნიშნა გერმანიის ასტრონომიკული საზოგადოების პრეზიდიუმის წევრმა გ. ენდერტმა, „მთვარის ზედაპირზე მანძილადან სამართავი მანქანების გამოყენება ახალ ეტაპს იწყებს ჩვენი კოსმოსური მეზობლის კვლევაში. მოძრავი ლაბორატორიები საშუალებას გვაძლევენ ერთდროულად ვაწარმოოთ კვლევა მთვარის ზედაპირის დიდ მონაკვეთებზე.

**ლონდონი.** ინგლისის რადიო და ტელევიზია თავიანთ გადაცემებს იწყებენ კოსმოსიდან მიღებული ახალი ამბებით. მეტი წილი ინგლისური გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ ინფორმაციას კოსმოსური სივრცის ათვისებაში საბჭოთა კავშირის ახალი მიღწევის შესახებ. „საბჭოთა კავშირმა ცხადყო, რომ არაპილოტირებული ავტომატური აპარატების მეშვეობით შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რასაც ვაღწევთ ადამიანთა გადახმით, მაგრამ, ადამიანის სიცოცხლის რისკის გაუწევლად და გაცილებით ნაკლები დანახარჯებით“.

**რომი.** „ტექნიკური თვალსაზრისით“ ლუნა-17 „საგდგის ფრენა უდიდეს ინტერეს იწვევს, რადგან მოწმობს, რომ გადაიჭრა დედამიწიდან მართული აპარატის მთვარის ზედაპირზე მოძრაობის ბევრი პრობლემა, განაცხადა რომის უნივერსიტეტის აეროკოსმოსური ცენტრის დირექტორმა ლუიჯი ბროლიომ „ლუნოხოდ-1“ აპარატის ეპოპეის გაშუქებისას. მეცნიერული თვალსაზრისით, განაგრძო მან, საქმე ეხება გრუნტის სინჯის კვლევისა და მიღების სისტემის შემუშავებასა და გამოცდას.

**ჟენევა.** „საბჭოთა სამთვარეო ჯიპი იკვლევს წვიმების ზღვას“, „საბჭოთა მეცნიერების წარმატება“ — ასეთი სათაურებით პირველ გვერდზე ბეჭდავენ ცნობებს შვეიცარიის გაზეთები. „ლუნა-17“ **სადგურმა, წერს „გაზეტ დე ლოზანი“, მთვარეზე მიიტანა „მოაზროვნე“ რობოტი, რომელსაც შეუძლია მოძრაობა.**

## ITALIA

### დანიშვნები სირიაში

**კაირო. 18 ნოემბერი. (საკ-დესი). როგორც მენის სააგენტოს დამასკელი კორესპონდენტი იუწყება, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის დროებითმა ხელმძღვანელობამ ამმედ ჰატბი დანიშნა სირიის სახელმწიფოს ახალ მეთაურად.** ამმედ ჰატბი იყო პარტიის დროებითი ხელმძღვანელობის წევრი. წინათ იგი იყო სირიის არაბთა რესპუბლიკის მასწავლებელთა პროფკავშირის თავმჯდომარე.

**არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის დროებითმა ხელმძღვანელობამ ჰაფეზ ასადს დაავალა შექმნას მინისტრთა ახალი კაბინეტი.**

**დამასკოში, იუწყება მენის სააგენტო, აგრეთვე გამოცხადებულია არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის დროებითი ხელმძღვანელობის შემადგენლობა. დროებით ხელმძღვანელობაში შევიდა 14 კაცი ჰაფეზ ასადის მეთაურობით.**

## ITALIA

### ბრაზავილი

### სავალუტო მაქინაციები

**ბრაზავილი. 19 ნოემბერი. (საკდესი). კინშასის ხელისუფლებამ ყადაღა დაადვეს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედი ბელგიის ბანკის „სოკობანკის“ მოძრავ და უძრავ ქონებას, იუწყება კინშასის რადიო.**

**ამ ბანკს ბრალად ედება, რომ, მოქმედებდა რა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, „ბელგიის მეორე ბანკთან შეთანხმებით“ მალავდა თავის უზარმაზარ მოგებას და ყოველნაირად არიდებდა თავს მოგებაზე არსებული გადასახადების გადახდას.**

**მსგავსი მაქინაციების შედეგად „სოკობანკმა“ მიიღო ორნახევარ მილიარდზე მეტი ბელგიური ფრანკი და უკანონოდ გაიტანა კონგოდან.**

## ДЕЛО

# აზიისა და აფრიკის მწერალთა ფორუმი

**დელი. 19 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. შალნოვი გვატყობინებს: „რევოლუცია და შემოქმედება“ — ასე გამოხატა სუდანელმა პროზაიკოსმა აბდალა ალ-იბრაჰიმმა, რომელიც გუშინ გამოვიდა აზიისა და აფრიკის მწერალთა IV კონფერენციაზე, ლიტერატორთა ამ უდიდესი ფორუმის ძირითადი შინაარსი.**

**მწერლის მოვალეობაა, აღნიშნა ჟან მერმა (სენეგალი), მოუწოდოს ადამიანებს საბრძოლველად ახალი მომავლისათვის. ბისაუს გვინეის ეროვნულისტმა დიუ ლის ალმარა დიუარტმა აღნიშნა, რომ მწერლების წიგნები გამსჭვალული უნდა იყოს ოპტიმიზმის სულისკვეთებით, რათა ხალხს, თავისუფლებისათვის საბრძოლველად ძალა და შთაგონება შემატოს.**

**პალესტინელმა პოეტმა „ლოტოსის“ პრემიის ლაურეატმა მაჰმუდ დარვიშმა თქვა: „მე ვლაპარაკობ აქ იმ ადამიანთა სახელით, რომლებიც არ ნებდებიან და განაგრძობენ ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში, ჩვენთვის, ისრაელში მცხოვრები არაბი მწერლებისათვის, მაგალითია გმირი ვიეტნამელი ხალხი. ჩვენ ვეყურდნობით ჩვენი მეგობრების მხარდაჭერას — საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს. ჩვენ შთაგაგონებენ ოქტომბრის რევოლუციის იდეები, რომელმაც 50 წლის მანძილზე გარდაქმნა მსოფლიო“.**

**კონფერენციის გუშინდელ სხდომაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო აფრიკა-აზიის ხალხთა ახალი ლიტერატურის შექმნის საკითხებს. აქ მეკრი ორატორი აღნიშნავდა იმ გავლენას, რომელსაც ახალგაზრდა ლიტერატორებზე ახდენენ რუსი მწერლების — ა. ჩეხოვის, მ. გორკის, ნ. ოსტროვსკის, ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებები.**

## AMERIKA

### ამერიკის შეერთებული შტატები

# პოლიციის „ფხიზელი თვალი“

**ვაშინგტონი. 18 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ჩერნიშევი გვატყობინებს: თვალთვალი და ჯაშუშობა, ტელეფონით ლაპარაკის მიყურადება და ფოსტის გახსნა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ახლოლოდ მეტისმეტად სკანდალური მხილება თუ მიიპყრობს ამერიკის საზოგადოებრიობის ყურადღებას.**

**სწორედ ასეთი სენსაცია გახლდათ მერილენდის შტატის გუბერნატორის მ. მენდელის „აღმოჩენა“, რომელმაც მისაყურადებელი მოწყობილობა იპოვა სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს შტაბ-ბინასთან დამაკავშირებელ საიდუმლო ტელეფონთან.**

**მ. მენდელი, რომელმაც იცოდა მიყურადების პრაქტიკა და გუბერნატორის პოსტზე თავისი წინამორბედის „ვამოცდილება“, რომელმაც აგრეთვე იპოვა თავის კაბინეტში საიდუმლო მიკროფონი, დიდხანს ეძებდა მისაყურადებელ მოწყობილობას, მაგრამ ამრადაც არ მისცია შეემოწმებინა ეგრეთწოდებული „სამოქალაქო თავდაცვის სპეციალური სასამსახურო ხაზის“ „წითელი ტელეფონი“, რომელიც 15 წლის წინათ აამშვავეს იმისათვის, რომ გუბერნატორებისათვის ეცნობებინათ „ეროვნული კრიზისი“. და მხოლოდ ამას წინათ შეამოწმეს ეს „წითელი ტელეფონი“ ელექტრონიკის დარგის ახალი ექსპერტის დაკინებული თხოვნით. მენდელის გასაოცრად იქ აღმოჩნდა ჩასაწერი მოწყობილობა და დაგამეები.**

**აღშფოთებულმა გუბერნატორმა ახსნა-განმარტება მოსთხოვა ოფიციალურ პირთ. თეთრი სახლის ინფორმაციის სკკითხთა დირექტორმა გ. კლეინმა სცადა „სასაცილოდ“ აეღო მენდელის ბრალდებანი, მაგრამ ასეთივე მოწყობილობა აღმოაჩინა თავის კაბინეტში დელაგერის შტატის გუბერნატორმა რ. პეტერსონმაც.**

**საზოგადოებრიობის ყურადღება, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტის“ თქმით, მიიპყრო იმ „ოდუმალმა პიროვნებებმა, რომლებიც მავთულის მეორე ბოლოში სხედან“. ამჯერად ოფიციალურმა წარმომადგენლებმა არჩიეს დადუმებულიყვნენ. მაგრამ, როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტის“ კარგად ინფორმირებული მიმომხილველი ჯ. ანდერსონი წერს, „არაოფიციალურმა წყაროებმა“ მას გამოძიების ფედერალურ ბიუროსა და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოზე მიუთითეს.**

**„ახლა, — განმარტა ეს სკანდალური ისტორია მონტანის შტატის გუბერნატორმა ფ. ანდერსონმა, — აღარაფერი აღარ მაკვირვებს“. ზემოთ ნათქვამს ისღა უნდა დავძინო, რომ, როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ამერიკული გუბერნატორები მთელ დროს მიკროფონებისა და გადამცემების გაფაციცებულ ძებნას ანდომებენ თავიანთ დაწესებულებებში, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო პოლიციის „ფხიზელი თვალისაგან“ გუბერნატორებიც კი არ არიან დაზღვეული.**

## INDEKSI ECEMA

# ინდექსი ეცემა

**ნიუ-იორკი. 19 ნოემბერი. (საკდესი). სამრეწველო წარმოების ინდექსი ამერიკის შეერთებულ შტატებში 2,3 პროცენტით შემცირდა ოქტომბერში.** ეს წარმოების ყველაზე მკვეთრი საშუალო თვიური შემცირებაა უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში. ოფიციალური წრეები იძულებული არიან აღიარონ, რომ ეს უწინარეს ყოვლისა შედეგია სამრეწველო წარმოების შემდგომი შეკვეცისა, რომლის მოცულობა ოქტომბერში 7 პროცენტით ნაკლები იყო 1969 წლის ივლისის დონესთან შედარებით, როცა დაიწყო დაკვეთობა.

**სამრეწველო წარმოების შემცირებას მოსდევს უმუშევრობის ზრდა.** შრომის სამინისტროს უკანასკნელი მონაცემებით, უმუშევრობა ოქტომბერში შეადგენდა შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რიცხვის 5,6 პროცენტს და **ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე.**

## ПОЧТА

### პატრიოტთა ნაბიჯები

● **ბანი. (საკდესი). ლაოსის სამეფო კანონთაციის ოფიციალურ ორგანოს „მეკონგის“ ლტოლვილებმა ამა წლის ივნისიდან ოქტომბრამდე მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 7 ათასზე მეტი ჯარისკაცი. ჩამოგდებულია 73 ამერიკული თვითმფრინავი, მოსპობილია 73 სამხედრო ავტომანქანა, ჩაძირულია 16 ბომბ, დანგრეულია 2 სტრატეგიული ხიდი.**

### ახალი კაბინეტის ფიცი

● **კაირო. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახლადშექმნილი მთავრობის მინისტრებმა დღეს ფიცი დადეს რესპუბლიკის პრეზიდენტის ანვარ სადათის წინაშე. მთავრობას მაჰმუდ ფაზლი მეთაურობს. სახელმწიფო ცერემონიის შემდეგ ახალი კაბინეტის წევრები ესაუბრნენ პრეზიდენტ ა. სადათს.**

### ფასდაუდებელი სამსახური

● **დაკა. (საკდესის კორ.). „საბჭოთა კავშირის დახმარება ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს აღმოსავლეთ პაკისტანის მოსახლეობას, რომელიც დაზარალდა საშინელი სტიქიური უბედურების გამო“, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ციკლონ ანისუზამანის შედეგების ლიკვიდაციის კომისარიატის უფროსმა. საბჭოთა მედიკამენტები, სურსათი, ტანსაცმელი, სამშენებლო მასალები, განაცხადა მან, დაუყოვნებლივ გაიგზავნება კატასტროფის გამო დაზარალებულ მოსახლეობაში განსაწილებლად.**

### მეგობრული დახმარება

● **ქაბული. (საკდესი). აქ გაიმართა წერილების გაცვლა იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი აფღანეთს უსასყიდლო დახმარებას გაუწევს 1970-1975 წლებში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირი აფღანეთს მიაწვდის მედიკამენტებსა და სამედიცინო მოწყობილობას.**

### ციკლონის შედეგები

● **ყარაჩი. (საკდესი). აღმოსავლეთ პაკისტანიდან კვლავ მოდის ახალი ცნობები ციკლონის შედეგების შესახებ. ჯერჯერობით არაფერი იციან რა ბედი ეწია ბენგალის ყურის 200 კუნძულზე მყოფ ადამიანებს. ზამთრის სეზონში ამ კუნძულებზე მიდის 100 ათასამდე მიწათმოქმედი ბრინჯისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასათესად და დასამუშავებლად. ცნობილია მხოლოდ, რომ 13 ნოემბერს უზარმაზარმა ტალღამ მოლიანად დაფარა ეს კუნძულები. პაკისტანის რადიო და პრესა იუწყებიან დაზარალებული მოსახლეობისათვის საზღვარგარეთიდან მიღებული დახმარების შესახებ. ციკლონის შედეგების ლიკვიდაციის კომისარიატს ეგზავნება პროდუქტები, მედიკამენტები, ვიტამინები, ქსოვილები, საბნები და ფინანსური სახსრები.**

## ФОТО

### ფოტოსურათი ადასტურებს

**ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე აგრესიას „კოლექტიური აქციის“ ხასიათი რომ მიხცენ, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ განახორციელონ პოლიტიკა — „აზიატები აზიატების წინააღმდეგ“. ამიტომ ისინი ფაქტიურად ყიდულობენ ჯარისკაცებს აზიის ქვეყნებში. აშშ ტაილანდს ყოველწლიურად 50 მილიონ დოლარს უხდის დივიზიისათვის, რომელიც სამხრეთ ვიეტნამში მოქმედებს. ახლა ტაილანდის ხელისუფალნი სამხრეთ ვიეტნამში, ლაოსსა და კამბოჯაში გასაგზავნ ახალ კონტინგენტს ამზადებენ „სპეციალიცეო კორპუსის“ შეთხელებული რიგების შესავსებად. ტაილანდის პროვინციებში შექმნილია სპეციალური ბანაკები, სადაც გაწვეულნი გაძლიერებულ წვრთნას გადიან ფრონტზე გაგზავნის წინ. სურათზე თქვენ ხედავთ ტაილანდელი ჯარისკაცების მორიგ წვრთნას. სახეებზე აუცილებელია კამუფლიაჟი.**

საკდესის ფოტოქრონიკა.

# ИСРАЭЛИС ЛОБИ АМЕРИКАШИ

## სტატია პოლონურ გაზეთ „შტანდარ მლოდიხიდან“

**ემიდინარე** წლის თებერვალში გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ თავის ფურცლებზე მოათავსა სია ამერიკის შეერთებული შტატების 64 (100-დან) სენატორისა და წარმომადგენელთა პალატის 243 (435-დან) წევრისა, რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს ტელ-ავივის პოლიტიკას. იმავე დროს პრესაში გამოჩნდა ერთობლივი განცხადება ამერიკელ კონგრესმენთა დიდი ჯგუფისა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ისრაელის დატოვება თავდაცვის საშუალებათა უქონლად „შეერიებული შტატების ინტერესების შესაბამისი არ იქნებოდა“ და რომ „ისრაელის შეიარღებული ძალები არ შეიძლება შესუსტებულ იქნან“. ხოლო კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ ვაშინგტონმა დაადასტურა, რომ ისრაელს, ისევე როგორც სამხრეთ ვიეტნამს, აბსოლუტური პრიორიტეტი აქვს ყველაზე თანამედროვე იარაღის მიწოდებაში.

ეს ფაქტები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ, რომ ისრაელის ლობი შეერთებულ შტატებში ისეთი ძალაა, რომელიც არ შეიძლება მიღებულ არ იქნას მხედველობაში.

ებრაელი წარმოშობის პირები ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის არც თუ ისე დიდ პროცენტს შადგენენ. მაგრამ ქვეყნის პოლიტიკაზე ისინი იხდენენ გავლენას, რომელიც ბევრად სჭარბობს მათს ხვედრითს წონას. აძალამდ შეერთებულ შტატებში 6 მილიონამდე ებრაელი ცხოვრობს. ყოველდღე მათ საშუალოდ ერთი მილიონი დოლარი შეაქვთ ისრაელის საბანკო ანგარიშებზე. როგორც რ. უიტპიდი ლონდონის გაზეთ „დეილი მეილის“ ფურცლებზე ამტკიცებს, ამ „ნებაყოფლობითი“ შენატანების მნიშვნელოვანი ნაწილი მორალური შანტაჟის შედეგია. სიონისტები უნარიანად იხდენენ გავლენას ებრაელთა გრძნობებზე.

სიონისტური ორგანიზაციების გავლენა ამერიკის შეერთებულ შტატებში „ყველა ებრაელზე“ როდი ვრცელდება, მაგრამ ვაშინგტონის ადმინისტრაციაზე ზეგავლენისას ისინი განუხრელად ცდილობენ ამ უფლების უზურპაციას.

საზღვრულ ფუნქციებს ასრულებენ. „დიფამაციის წინააღმდეგ ბრძოლის ლიგა“ ყველაზე ხშირად თვითონ არის სიცრუის იარაღი და სპეციალდება სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ცილისწამების დარგში. „რაბინთა საბჭო“ სისტემატურად აწყობს სემინარებსა და კოლოკვიუმებს „ისრაელის სულიერ ფასეულობათა“ შესახებ. „პროგრესული“ ებრაელები ცდილობენ განადიდონ ტელ-ავივის „სოციალისტური ექსპერიმენტი“. არქეოლოგები „ამტკიცებენენ“ ებრაელთა უფლებას ჰქონდეთ „დიდი ისრაელი“ და სხვ.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს პროპაგანდა წარმოებს არა მარტო ებრაელთა შორის, არამედ სხვა ამერიკელებს შორისაც. მისი მიზანია ისრაელთა სასარგებლოდ განაწყოს ისინი.

ისრაელის ლობი განსაკუთრებით ძლიერ გავლენას ახდენს ამერიკის პრესაზე და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებზე. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ პრესა უშუალოდ სიონისტთა ხელშია. მათ აქვთ ათასობით საშუალება ინფორმაციის ამა თუ იმ ორგანოზე ზემოქმედებისა, დაწყებული რეკლამის მიცემით და დამთავრებული რედაქციებში გაგზავნილი ინსპირირებული წერილებითა და სხვა პროვოკაციული აქციებით.

ორასზე მეტი ზოგადამერიკული და ამაზე არანაკლები რეგიონალური ფედერაცია ის ცენტრებია, რომლებიც მოწოდებული არიან „გაავრცელონ სიონისტური ლოგანი ნაწილი მორალური შანტაჟის შედეგია. სიონისტები უნარიანად იხდენენ გავლენას ებრაელთა გრძნობებზე.

**ლობი — ინგლისური სიტყვაა და კულუარებს ნიშნავს. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ უარგონზე ლობი ჯგუფებს ან ცალკე პირის (ლობისტი) ფარული საქმიანობაა, რომელიც ძალზე გავრცელებულია ამ ქვეყანაში და განსაკუთრებით მის დედაქალაქ ვაშინგტონში. აქ მთელი შტატი არსებობს ეკონომიური ან პოლიტიკური წრეების ლობისტი აგენტებისა, რომლებიც სათანადო გასამრჯელოთი (თანხა, როგორც წესი, მაღალია) მოსყიდვის, მუქარის, ზეგავლენის, შანტაჟის და სხვა საშუალებებით ზემოქმედებას ახდენენ აშშ-ის კონგრესმენებზე ამა თუ იმ კანონისა თუ კანონპროექტის გატარებაში.**

**ამერიკის პოლიტიკურმა ცხოვრებამ ლობისტებისა და მათ მიერ მოსყიდულ კონგრესმენთა თუ მთავრობის წევრთა არა ერთი სკანდალური ისტორია იცის,**

**ამისაგან დამოუკიდებლად, სიონისტური ორგანიზაციები პოლიტიკური ორგანიზაციები არიან თუ კულტურულ-საზოგადოებრივი, ისინი მუდამ ურთიერთთან შეთანხმებულად მოქმედებენ და არაჩვეულებრივ აქტივობას იჩენენ. დღე არ გავა ისე, რომ შეერთებული შტატების დიდ ქალაქებში, უწინარეს ყოვლისა ნიუ-იორკში, არ იყოს ლექცია, დარბაზობა, ბანკეტი, რომელთა მიზანია პროპაგანდა ცხოვრების მშვენიერებისა ისრაელში, „ჯიტაცია მისი პოლიტიკური კურსის მხარდასაჭერად. მაგრამ, ისახავენ რა ერთსა და იმავე მიზნებს, სხვადასხვა სიონისტური ცენტრები ზუსტად განტელ-ავივის „სოციალისტური ექსპერიმენტი“. არქეოლოგები „ამტკიცებენენ“ ებრაელთა უფლებას ჰქონდეთ „დიდი ისრაელი“ და სხვ.**

**აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს პროპაგანდა წარმოებს არა მარტო ებრაელთა შორის, არამედ სხვა ამერიკელებს შორისაც. მისი მიზანია ისრაელთა სასარგებლოდ განაწყოს ისინი.**

**ისრაელის ლობი განსაკუთრებით ძლიერ გავლენას ახდენს ამერიკის პრესაზე და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებზე. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ პრესა უშუალოდ სიონისტთა ხელშია. მათ აქვთ ფინანსური საშუალება ინფორმაციის ამა თუ იმ ორგანოზე ზემოქმედებისა, დაწყებული რეკლამის მიცემით და დამთავრებული რედაქციებში გაგზავნილი ინსპირირებული წერილებითა და სხვა პროვოკაციული აქციებით.**

**ორასზე მეტი ზოგადამერიკული და ამაზე არანაკლები რეგიონალური ფედერაცია ის ცენტრებია, რომლებიც მოწოდებული არიან „გაავრცელონ სიონისტური იდეოლოგია. სიონისტური ორგანიზაციები ამერიკის შეერთებულ შტატებში ასობით თავიანთ გაზეთს უშვებენ. ინფორმაციებსა და სტატიებს მათ აწვდის უშუალოდ ჯუიშ ტელეგრაფ ეიჯენსი, ოდესღაც დამოუკიდებელი საგენტო, რომელიც ლიბერალურად მიიჩნდათ. რამდენიმე წლის წინათ იგი 300 მილიონ დოლარად იყიდა ებრაელმა საგენტომ (ორგანიზაციამ, რომელიც განაგებს ისრაელში ემიგრაციას). — რედ.). დღეს ეს ისრაელის ოფიციალური დეპეშთა საგენტოა, რომელსაც შტაბ-ბინა იერუსალიმში აქვს.**

**საინტერესო აღმოჩნდა გამოძიება, რომელიც სენატორ ფულბრაიტის მოთხოვნილებით ჩატარდა 1963 წელს იმ მიზნით, რომ გამოვლინებინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში უცხოეთის სხვადასხვა ლობის, მათ შორის აგრეთვე ისრაელის ლობის საქმიანობის მასშტაბები. გამოიკვეა, კერძოდ, რომ ისრაელისადმი ფინანსური დახმარება ამერიკის შეერთებულ შტატებში მიჩნეულია საქველმოქმედო საქმიანობად, ხოლო ის, ვისაც ფული შეაქვს ასეთი მიზნებისათვის, საგადასახადო დოლარს გზავნის ამერიკის შეერთებულ შტატებში სიონისტური ცენტრების საქმიანობის დასაფინანსებლად.**

**შეერთებულ შტატებში ისრაელის ლობის ძალას მოწმობს სხვათა შორის შემდეგი ფაქტები. 1969 წელს კონგრესში კამათის დროს, რაც წარმოებდა უცხოელი სახელმწიფოებისადმი დახმარების კანონპროექტის გამო, მას დაუმატეს ექვსი პუნქტი, რომლებიც ისრაელს ეხებოდა და ისრაელს შესაძლებლობა მისცა მიეღო დამატებითი უპირატესობანი სხვა ქვეყნებთან შედარებით. მომდინარე წლის იანვარში წარმომადგენელთა პალატის წევრმა ფილიპ კრეინმა აშშ-ის მთავრობას მიმართა წინადადებით — სრული დახმარება აღმოუჩინოს ტელ-ავივის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში. გაზეთი „ნიუსდეი“ წერდა, რომ წინადადება შემუშავებულ იქნა მაშინ, როცა კრეინი თავის საარჩევნო ოლქში შეხვდა წამყვან სიონისტთა ჯგუფს.**

**სიონისტებს ჰყავთ აგრეთვე სპეციალური ჯგუფი, რომელიც ზეგავლენას იხდენს რესპუბლიკელთა ადმინისტრაციაზე. როგორც ივიე „ვაშინგტონ პოსტი“ ამტკიცებს, ამ ჯგუფს სათავეში უდგას ლოსანჯელესელი ტფტ ბრაიბერი, „მიუნიკ კორპორეიშენ ოუ ამერიკის“ შეფი, კალიფორნიაში რესპუბლიკელთა ფონდისათვის ფულის შეგროვების მთავარი ორგანიზატორი. აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ კომიტეტთან შექმნილია ისრაელის საკითხზე სპეციალური კონსულტანტის თანამდებობა, რომელიც უჭირავს ვაშინგტონელ სპეციალისტს „საზოგადოებრიობასთან კონტაქტების საკითხებზე“ უორენ ადლერს. ამ კონსულტაციებისათვის იგი ყოველწლიურად 25 ათას დოლარს იღებს.**

**ზეგავლენის სიონისტურ ჯგუფებს ეკუთვნიან შეერთებული შტატების ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი და მრეწველნი. მათ შორის არიან ნიუ-იორკელი სენატორი ჯეკობ ჯავიტსი და დეტროიტელი მილიონერი, თეთრი სახლის სპეციალური მრჩეველი მაქს ფიშერი, რომელიც ასრულებს აშშ-ის პრეზიდენტსა და სიონისტებს შორის მეკავშირე ოფიცრის როლს (სხვათა შორის, მან 107 ათასი დოლარი შეიტანა რესპუბლიკური პარტიის ფონდში).**

**როცა მომდინარე წლის დამდეგს გაჩნდა ცნობები, რომ ვაშინგტონს თითქოს განზრახული აქვს თავი შეიკავოს ისრაელისათვის შეტევითი იარაღის მიწოდებისაგან, სიონისტურმა ლობიმ მაშინვე ამოქმედა თავისი ზემოქმედების აპარატი. ზედიზედ მოუწყო სიონისტთა ხელმძღვანელების რამდენიმე შეხვედრა ნიქსონის მრჩეველ კისინჯერთან და სახელმწიფო მდივან როჯერსთან, ამავე დროს პრესასა და კონგრესში დაიწყო გამალებული პროპაგანდისტული კამპანია, რომლის კულმინაციური პუნქტი გახდა ამერიკის სიონისტური ორგანიზაციების კონფერენცია. ამ კონფერენციაზე ჩავიდა 70 სენატორი და წარმომადგენელთა პალატის 400 წევრი, პრეზიდენტმა ნიქსონმა კი გაგზავნა სპეციალური მიმართვა, რომელშიც დაპირდა, რომ დაკმაყოფილებდა ტელ-ავივის მოთხოვნებს იარაღის მიწოდების საკითხში. ამის შემდეგ ისრაელში მალე გაიგზავნა თვითმფრინავებისა და რაკეტების ახალი პარტია...**

# ყოველი მხრიდან

## რაზე წერს უცხოეთის პრესა

**უდიდესი ინტერესით ადევნებს თვალს მსოფლიო ახალი საბჭოთა კოსმოსური ექსპერიმენტის მსვლელობას. დღევანდელი გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ უკანასკნელ მონაცემებს „ლუნოხოდ-1“ საბჭოთა თვითმავალი აპარატის მუშაობის შესახებ მთვარის ზედაპირზე. ვრცელ მასალას ათავსებენ ამ თემაზე სოციალისტური ქვეყნების პრესა, დასავლეთ ევროპისა და სკანდინავიის ქვეყნების, იაპონიისა და სხვა სახელმწიფოების გაზეთები.**

**„ტრიუმფული წარმატება“, „უანტასტიკური გმირობა“. „პარაჩვეულებრივი ექსპერიმენტი“— ნათქვამია ბულგარული გაზეთების სათაურებში. ორანგული „პარი-ჟური“ ხაზს უსვამს იმ გმირობის ისტორიულ ძნიშვნელობას, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა მოახდინეს „ლუნა-16“ და „ლუნა-17“ ავტომატური სადგურების საშუალებით. „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ „ლუნოხოდ-1“ თვითმავალი აპარატით იწყება მთვარის, ხოლო მომავალში აგრეთვე სხვა პლანეტების გამოკვლევის ახალი ერა. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ბეჭდავს თავისი კოსმოსურ საკითხთა მომიმხილველის უოლტერ ს

# საქართველოს ფრონტზე — ბაკურში

## ნაპირ-ნაპირ

## მანქანები საექსპორტოდ

**ბათუმი.** (საკ. კორ.). შორს გაითქვა სახელი ბათუმის მანქანათსაშენებლო ქარხნის პროდუქციამ. იგი მსოფლიო არენაზე გავიდა 1956 წელს. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ბათუმური მანქანა მიიღო 14 ქვეყანამ, მათ შორის ბულგარეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, კუბამ, მონღოლეთმა, დიდი მოთხოვნილებაა შამპანურისა და საკონსერვო ქარხნების აღჭურვილობაზე.

უველაზე დიდი დამკვეთი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკაა. იქ იგზავნება ჩაის ფაბრიკების მთლიანი აღჭურვილობა. ახლა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ქარხანა ამზადებს 3 ჩაის ფაბრიკის ოთხ კომპლექსს.

## ცისფერი ალი გოლნისში

**გოლნისი.** (საკ. კორ.). წელს „გოლნისგაზის“ კოლექტივმა 4.856 გაზჩურა დამონტაჟა რაიონის ცენტრის მოსახლეობაში. და განა მარტო რაიონის ცენტრში. წელს მთლიანად გაზიფიცირებული იქნება სოფლები არახლო, რატევანი, დმანისი... წლის ბოლომდე დამატებით 500-ზე მეტ ოჯახში აინთება ცისფერი ალი.

## საავადმყოფო „ადამიანის დაგადება“

**მესამე** წელია ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძუიბჟის საუბნო საავადმყოფოს მინაჭებული აქვს სახელწოდება „ადამიანის დაბადება“, როგორც ცნობილია, სოხუმიდან თბილისში ფეხით მიმავალი მაქსიმ გორკი ტყეში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ამჟამად სოფლის საავადმყოფოს ორსართულიანი შენობაა აღმართული, შეესწრო უპატრონო ქალის მოლოგინებას და დახმარება გაუწია მას. ეს ამბავი გამოიყენა მ. გორკიმ თავისი მოთხრობისათვის „ადამიანის დაბადება“.

ახლა საავადმყოფოში „ადამიანის დაბადება“ სამედიცინო პერსონალის 20 მუშაკია. საავადმყოფოს ხელმძღვანელობს ადგილობრივი მკვიდრი ექიმი ციცინო ბარგანჯია. საავადმყოფოში არის სამშობიარო, ქირურგიული, თერაპიული, სტომატოლოგიური განყოფილებები. აქ ექთანად მომუშავე აფხაზეთში დაბადებულმა ზანგმა გოგონამ ნუცა აბაშმა დაუსწრებლად დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და ამჟამად ექიმად მუშაობს ქალაქ სოხუმში.

საავადმყოფოს მუშაობით მშრომელნი კმაყოფილი არიან. აქ დაბადებულ ბევრ ბავშვს მშობლები მაქსიმეს არქმევენ დიდი მწერლის პატივსაცემად.

**მ. ჭოჭუა.**

## ახალი საბელევიზიო ანძა

**თეთრი წყარო.** სოფელ დიდი თონეთის მახლობლად ერთ-ერთ მაღალ მთაზე შენდება სატელევიზიო ანძა.

ახალი სატელევიზიო ანტენა-ანძა ხელს შეუწყობს პირველ რიგში დიდი თონეთისა და მასთან ახლომდებარე დასახლებული ადგილების, მანგლისისა და სხვა სოფლების ტელეფიკაციას, გაზრდის ტელემიღების ხარისხსა და ეფექტიანობას.

**ზ. გოგიჩაიშვილი.**

# საქართველო — ბაზელის გამოფენაზე

**გუშინ, 19 ნოემბერს, საქართველოს სავაჭრო პალატაში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ დედაქალაქის ცენტრალური, რესპუბლიკური, საქალაქო გაზეთების, აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტები. პრეს-კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. ელიგულაშვილმა.**

მან ილაპარაკა ყველა იმ საგარეო-სავაჭრო ურთიერთობაზე, რომელიც კი საქართველოს რესპუბლიკას დამყარებული აქვს საზღვარგარეთის ქვეყნებთან. რ. ელიგულაშვილმა აღნიშნა, თუ რა დიდი მუშაობა მიმდინარეობს ჩვენი რესპუბლიკის ნახელავსუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად და როგორ ემზადებიან ისინი ბაზელის (შვეიცარია) მომავალი საერთაშორისო გამოფენისათვის.

პრეს-კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა სავაჭრო პალატის საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს გამოფენების განყოფილების გამგე ჯ. ქოიავა. მან აღნიშნა, თუ რა დიდი წარმატება ჰქონდა წელს, გაზაფხულზე პარიზში გამართულ საბჭოთა კავშირის II სამრეწველო-სავაჭრო გამოფენაზე საქართველოს პავილიონს. პარიზელები მოხიბლა როგორც პავილიონის დიდი გემოვნებით შესრულებულმა გაფორმებამ, ისე აქ წარმოდგენილმა მრავალრიცხოვანმა ექსპონატებმა. პარიზის გამოფენაზე კერძოდ, წარმოდგენილი იყო 355 დასახელების 2.890 ექსპონატი.

მომავალი, საიუბილეო წლის ერთ-ერთ დიდ მოელენად სავაჭრო პალატის მუშაკებს მიაჩნიათ მზადება ბაზელის საერთაშორისო გამოფენისათვის. 3-დან 23 ივნისამდე შვეიცარიის ქალაქ ბაზელში გაიმართება საბჭოთა კავშირის სამრეწველო-სავაჭრო გამოფენა, სადაც რესპუბლიკებიდან მხოლოდ საქართველოს ექნება დამოუკიდებელი პავილიონი 500 კვადრატული მეტრი ფართობით, გამოფენის ძირითადი მიზანია შვეიცარიელებს გააცნოს ჩვენი ქვეყნის მიღწევები გასული 50 წლის მანძილზე. ცალკეული ექსპონატების, მოდელების, დიაგრამების, სქემების, ფოტოსურათების, კინოფილმებისა და სხვა მასალების მიხედვით დამთვალიერებლები საბჭოთა საქართველოს დღევანდელ ცხოვრებას, მის მდიდარ წარსულსა და ნაყოფ მომავალს.

ექსპონატები დაყოფილი იქნება ცალკეული განყოფილებებს. მიხედვით, მათ შორის ყურადღებას იქცევს — „საქართველოს სავაჭრო-ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან უძველესი დროიდან დღემდე“, „საქართველოს მარკეთი“, „ჩვენი კურორტები“, „საქართველოს უძველესი ძეგლები“, „გვეწვიეთ საქართველოში“ და სხვ. ბროშურისათვის ქართულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე დაიბეჭდება ბუკლეტები 6 ათასი ცალის რაოდენობით. ნაჩვენები იქნება დოკუმენტური, მხატვრული და სარეკლამო ფილმები, დამთვალიერებლები მოისმენენ ქართულ მუსიკას.

გამოფენის მხატვრულ გაფორმებას უხელმძღვანელებს არქიტექტორი შ. ყავლაშვილი.

როგორც პრეს-კონფერენციაზე რ. ელიგულაშვილმა აღნიშნა, ბაზელის გამოფენაზე განზრახულია ჩაატანოთ 100-ადგილიანი საექსკურსიო გემი „კომეტა“, რომელიც მომსახურებას გაუწევს დამთვალიერებლებს.

ღამით თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ „ვაგზლის მოედანზე“. ფოტო ი. ბაქვისა.

## ნ. ბუჯიაშვილი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1921 წლიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ნიკოლოზ (გოლა) დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილი. იგი დაიბადა 1895 წელს გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევში დარიბი გლეხის ოჯახში. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ შრომითად საქმიანობა დაიწყო 13 წლის ასაკიდან, მუშაობდა კერძო სახელოსნოებში მოწყვიდ და მუშად.

1920 წლიდან ჩაება არალეგალურ მუშაობაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღიდან პარტიის დავალებით იგზავნება ქ. თბილისის მილიციის ჯერ მეოთხე რაიონის უფროსის მოადგილედ, ხოლო 1922 წლიდან მილიციის მეხუთე რაიონის უფროსად.

1924 წელს ნ. ბუჯიაშვილი იგზავნება გარეკახეთის რაიონის მილიციის უფროსად და აქტიურ მონაწილეობას იღებს მეწმენდიკური ავანტიურის ლიკვიდაციაში.

შემდგომ წლებში იგი მუშაობს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე: რუსეთის მილიციის სამმართველოს უფროს ინსპექტორად, აღბულახის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, თბილისის კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის ჯერ თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო შემდეგ თავმჯდომარედ, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ, სამტრესტის № 1 ღვინის ქარხნის დირექტორად და სხვ. 1970 წლიდან იგი პერსონალური პენსიონერია.

ნ. ბუჯიაშვილი სხვადასხვა დროს არჩეული იყო თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და კალინინის რაიონული საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის ბიუროს წევრად. იგი დაჯილდოებული იყო მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „შრომითი მამაცობისათვის“.

პრინციპული კომუნისტის, თავდადებული მუშაკის და ერთგული მეგობრის ნ. ბუჯიაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

# თვითმკურნალობა მავნე და სახიფათოა

**ავადმყოფები** არც თუ იშვიათად მიმართავენ ხოლმე თვითმკურნალობას, რომლის მავნე შედეგებსაც ხშირად ვხვდებით ექიმ დერმატოლოგთა პრაქტიკაშიც.

ზოგიერთი წამლის თვითნებურად, ექიმის კონტროლის უქონლად მიღებამ ერთ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს მისი სამკურნალო ეფექტის დაქვეითება ან სრულიად მოსპობაც კი, რადგან სნეულების გამომწვევი ეჩვევა ამ პრეპარატს და იგი არავითარ გავლენას აღარ ახდენს ავადმყოფობაზე, მეორე შემთხვევაში შესაძლოა განვითარდეს ორგანიზმის ზემგრძნობელობა ანუ სენსიბილიზაცია ამა თუ იმ სამკურნალო პრეპარატის მიმართ. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს ექიმები ხშირად ეუბნებიან, ეს ალერგიაა. გარეგნულად ეს გამოიხატება კანზე გაჩენილი სხვადასხვაგვარი გამონაყარით, როგორც არის, მაგალითად წითელი შეშუპებული ლაქები, ბებერები, სისხლჩაქცევები კანში და სხვ.

ასეთი გამონაყარი იმითაც არის უსიამოვნო, შემაწუხებელი, რომ მას თან ახლავს ძლიერი ქავილი, ზოგჯერ წვის შეგრძნებაც. ზოგიერთ შემთხვევაში გამონაყარი ჩნდება აგრეთვე პირის ღრუში, სადაც, კანის მსგავსად შეიძლება გაჩნდეს ბუშტუკები, რომელთა გახსნის შემდეგ რჩება ლორწოვანი გარსის დროებითი დეფექტები. ეს კი იწვევს მტკივნეულობას, განსაკუთრებით ჭამის დროს. საკმარისია ასეთი მდგომარეობის გამომწვევი წამლის მიღების შეწყვეტა, რომ გამონაყარი თანდათან გაქრეს, მაგრამ თუ ავადმყოფი შემდგომში კვლავ იხმარს იმავე წამალს, მაშინვე კვლავ გაჩნდება გამონაყარი, რომელიც განმეორების შემთხვევაში ზოგჯერ პირვანდელზე უფრო ძლიერია.

ორგანიზმის ასეთი ზემგრძნობელობის გამომწვევი წამლებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სულფანილამიდური პრეპარატები (სტრეპტოციდი და სხვ.), პირამიდონი, ანტიპირინი, ზოგიერთი საძილე საშუალება (ნემბუტალი, მედინალი, ბარბამილი და სხვ.), ე. ი. ისეთი წამლები, რომელთა მიღება ზოგიერთი ავადმყოფის აზრით, არაავითარ საექიმო კონტროლს არ საჭიროებს და ამდენად ვისაც რიგში მოუნდება და რამდენსაც თვითონ დაინახავს საჭიროდ, იმდენი შეიძლება თითქოს მიიღოს. სწორედ ასეთი თვითმკურნალობის შედეგად ვითარდება ზემოაღწერილი მავნე შედეგები.

ფრიად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ავადმყოფს, რომელსაც ზემგრძნობელობა განუვითარდება ერთი რომელიმე წამლის მიმართ, დროთა განმავლობაში ასევეთვე რეაქცია აღენიშნება პირველადელი პრეპარატის მსგავსი წამლის ან წამალთა მთელი ჯგუფის მიმართ. პრაქტიკაში უმეტესად ვხვდებით ერთდროული ზემგრძნობელობას სულფანილამიდური და საძილე პრეპარატების მიმართ. ასეთი მდგომარეობას ჯვარედინი სენსიბილიზაცია ეწოდება.

ზოგჯერ ავადმყოფმა პირადი გამოცდილებით იცის, რომ მისი ორგანიზმი ვერ ეგუება ამა თუ იმ წამალს და, მიუხედავად ამისა, თვითმკურნალობის დროს უნებურად მაინც იღებს მას, რასაც მისთვის მოულოდნელად მაშინვე მოპყვება ზემოაღწერილი გამოვლინება ორგანიზმის ზემგრძნობელობისა. საქმე ის არის, რომ დღესდღეობით მრავალი სამკურნალო წამალი ისეთი სახელწოდებით გამოდის გასაყიდად, რომ არა ჩანს, თუ რომელი მედიკამენტები შედის ამ პრეპარატში. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატი, რომელთა შემადგენლობაში შედის პირამიდონი, წამლის სახელწოდებით კი ავადმყოფი ამას ვერ მიხვდება. ასეთებია ნოვამიგროფენი, რეოპირინი, პირაბუტოლი და სხვ. ექიმი, რასაკვირველია, არასოდეს არ დაუნიშნავს ასეთ პრეპარატებს იმ ავადმყოფს, რომელსაც პირამიდონის მიმართ ზემგრძნობელობა აღენიშნება.

მსგავსი მაგალითია აგრეთვე ფურუნკულების მკურნალობა კომპრესებით. ამის შედეგად არაიშვიათად აქვს ადგილი ჩირქოვანი პროცესის „მოთესვას“ და ფურუნკულის მეზობელ უბნებში ახალი გამონაყარის გაჩენას.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ექიმის გვერდის ავლით ისეთი ახალი პრეპარატების ხმარებისას, რომელსაც ექიმი პირველ ხანებში მცირე დოზებით უნიშნავს ხოლმე ავადმყოფს, რათა დაკვირდეს მისი ორგანიზმის რეაქციას ამ წამლის მიმართ.

ეგზემითა და კანის ზოგიერთი სხვა სნეულებით დაავადებულნი ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ თითქოს მათ არ შველით ანდა ვნებთ კიდეც ესა თუ ის მალამო, რომელიც ასეთივე სნეულებისას მათს ნაცნობს ან მეზობელს ნამდვილად რგებდა. მალამოს ასეთი არჩევითი მოქმედება მართლაც აღინიშნება და ამას მრავალი სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს. ასეთ შემთხვევაში ხშირად ირკვევა, რომ მათ ჰქონიათ სრულიად სხვადასხვა დაავადებები, რომლებიც არასპეციალისტის თვალით თითქოს ერთი და იგივე სნეულება იყო. სხვა შემთხვევაში ერთი რომელიმე წამლის სხვადასხვაგვარი სამკურნალო მოქმედება შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ ერთ ავადმყოფს დაავადების მწვავე ფორმა ჰქონდეს, მეორეს კი ქრონიკული. გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დაავადების კერის ლოკალიზაციის ადგილს.

მრავალი სხვა მიზეზიც არსებობს, რომელთა გამო თვითმკურნალობამ შეიძლება არა მარტო არ არგოს სნეულებას, არამედ ვნებაც კი მოუტანოს და უფრო გაართულოს ავადმყოფობის მიმდინარეობა. მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. ზოგიერთი ფორმის ეგზემა, ფსორიაზი და კანის სოკოვანი დაავადება ხანდახან თითქოს და ერთნაირად მიმდინარეობს, მაგრამ ასეთი მსგავსება მხოლოდ არაექიმის თვალისათვის არის, სინამდვილეში თვითეული მათგანი განსხვავებულ მკურნალობას მოითხოვს.

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ კანის სნეულებათა უმრავლესობა ამჟამად მიჩნეულია არა მარტო საკუთრივ კანის დაავადებად; რადგან ძალიან ხშირად მათი წარმოშობა დაკავშირებულია შინაგანი ორგანოების ფუნქციათა დარღვევასთან, ნივთიერებათა ცვლის ნერვული და ენდოკრინული სისტემის მხრივ პათოლოგიურ მდგომარეობასთან და სხვ. ამიტომ ადგილობრივ მკურნალობასთან ერთად უმრავლეს შემთხვევაში საჭიროდ ხდება საერთო მკურნალობის ჩატარებაც.

მაგრამ ყოველივე ზემონათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ თვითმკურნალობა საერთოდ თითქოს კატეგორიულად უნდა უკუვაგდოთ ყველა შემთხვევაში. მკითხველმა ალბათ იცის, რომ ზოგჯერ ეს დასაშვები და საჭიროც არის. მთავარია გვახსოვდეს ეს „დასაშვები შემთხვევები“. ასეთებია, მაგალითად, მცირეოდენ განაკაწრნი ან კანის ზერელე ჭრილობაზე იოდის ნაყენის წასმა, კანზე შემთხვევით გაჩენილი პაწაწინა ჩირქბადის დამუშავება იოდით ან ბრილიანტინის მწვანით და ა. შ. საერთოდ საჭიროა ექიმს მივმართოთ ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ერთი შეხედვით „არაფერი განსაკუთრებული“ არა აქვს ადამიანს. პროფილაქტიკის, დაავადების თავიდან აცილების დედაარი სწორედ ის არის, რომ ვისარგებლოთ ექიმის კვალიფიციური დახმარებით და საოუოდ არ გავიხადოთ საქმე. თვითმკურნალობით.

**დ. საუვარელიძე,**
**თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კანის სნეულებათა კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

# რვა ბურთი ერთ მატჩში

**ვენა, 19 ნოემბერი.** (საკადესი). სსრ კავშირის კლუბების ფეხბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 5:3 დაამარცხა ადგილობრივი გუნდი „რაპიდი“.

მატჩის დაწყებისთანავე ჩვენი ფეხბურთელები დაეუფლნენ ინიციატივას და შორი მანძილიდან ბევრჯერ დაარტყეს მასპინძელთა კარში. მაგრამ ანგარიში მე-15 წუთზე მასპინძელთა ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს გახსნა „რაპიდის“ ნახევარმცველმა ფლიოგელმა, რომელმაც ისარგებლა საბჭოთა გუნდის დაცვის შეუთანხმებელი მოქმედებით. 27-ე წუთზე მუნტიანმა 30 მეტრი მანძილიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

მთავარი მოვლენები მატჩის მეორე ნახევარში მოხდა. თამაშის განახლებისთანავე ისტომინმა დაწინაურა თავისი გუნდი — 2:1. კიდევ ერთი წუთიც, და ეკრიუკინმა ზუსტი დარტყმით გაზარდა ანგარიში — 3:1.

ორი ბურთის უპირატესობა რომ მოიპოვეს, ჩვენმა ფეხბურთელებმა რამდენადმე შეანელეს ტემპი. მასპინძლებმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს ამით და დაიწყეს პშენიჩნიკოვის კარის გამუდმებული იერიში. 64-ე წუთზე იმავე ფლიოგელმა თავური დარტყმით ანგარიში გახადა 3:2, ხოლო ერთი წუთის შემდეგ ავსტრიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბიერეგაარდმა გაიტანა მესამე ბურთი — 3:3.

უკანასკნელი ოცი წუთის განმავლობაში ორივე გუნდი მხოლოდ უტევდა, მაგრამ უპირატესობა ისევ სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა მოიპოვა. 78-ე წუთზე კელვ გამოიჩინა თავი ეკრიუკინმა — 4:3. უკანასკნელი გოლი ავსტრიელი არბიტრის შილერის საფინალო სასტვენის ხმამდე ნახევარი წუთით ადრე გაიტანა 19 წლის შევჩენკომ.

სსრ კავშირის კლუბების ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ლოგჩევი (ძოძუაშვილი), მუნტიანი, ფედოტოვი, კოლოტოვი (პაპაევი), შევჩენკო, კოპეიკინი (დუდარენკო), ეკრიუკინინი, სამივე ცვლილება გუნდში მეორე ტაიმში მოხდა.

## ფეხბურთის მოედნებზე

**ზაგრები.** იუგოსლავიის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები — 2:0 (0:0).

**ბერლინი.** მოსკოველმა არმიელებმა წააგეს ამხანაგური მატჩი „ფორვერტსის“ (გდრ) კლუბთან — 2:3 (1:2).

**ლესტერი** (ინგლისი). ამ ქალაქში „ლესტერ სიტის“ გუნდისაგან დამარცხება განიცადეს მოსკოვის დინამოელებმა — 0:2 (0:1). (საკადესი).

კომუნისტი ჯარგანი

# შესვენების შემდეგ

## მალიორკის საზონათაშორისო

**მოჯადრაკეთა** მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო შეჯიბრების მეშვიდე ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა ერთი ქულით გაადიდა თავისი ქულების მარაგი. ესპანურ პარტიაში, რომლის დიდ მცოდნედაც ითვლება, სმისლოვმა დაამარცხა ამერიკელი უ. ადისონი.

## სტარტზეა ღიდი ქალათგურთი

**დღეს** ბრძოლაში ჩაებმებიან უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ეკაფთა გუნდები, იწყება საკავშირო ჩემპიონატი, რიგით ოცდამეთვრამეტე.

წინა ჩემპიონატებთან შედარებით პირველობის დისტანცია შემცირებულია მესამედით. ახლა მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან ორჯერ — საკუთარ და მოწინააღმდეგის მოედნებზე. პირველობაზე ერთ-ერთ 12 გუნდი: ცსკა, მოსკოვის „დინამო“, კიევის „სტრო�ტელი“, ლენინგრადის „სპარტაკი“, ყაზანის „ყალგირისი“, თბილისის „დინამო“, ტარტუს „ყალევი“, კიევის სკა, რიგის სკა, თბილისის „ბურევესტნიკი“, რიგის ვეფი, მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდი.

ჩემპიონატს ხსნიან მოსკოვის „დინამოსა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდები. ეს შეხვედრა დღეს გაიმართება.

თბილისის დინამოელები, რომლებსაც ახალი მწვრთნელი ჰყავთ — სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ქორქია, — ბრძოლაში 22 ნოემბერს ჩაებმებიან. ისინი კაუნასში შეხვდებიან „ყალგირისს“.

## ტურნირი გელცში

ბელცში დაიწყო სოფლის მოჭადრაკეთა საკავშირო გუნდური შეჯიბრების ფინალური ტურნირი. პირველ ტურში საქართველოსა და მოლდავეთის მოჭადრაკეთა შეხვედრაში გამარჯვებული გამოავლინა გადადებული პარტიების დამთავრებამ. წარმატება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ხვდათ ანგარიშით 2,5:1,5.

ესტონეთის გუნდისა და რსფსრ-ის მოჭადრაკეთა შეხვედრის შედეგია 2:1 ესტონელთა სასარგებლოდ. ერთი პარტია გადადებულია. ყაზახეთის გუნდი უგებს ლატვიელ მოჭადრაკეებს 2,5:0,5. ერთი პარტია გადადებულია.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

**20 ნოემბერი**

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „მხატვრული ფილმი „აზზად ბერლინისაკენ“ (ქართულ ენაზე), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — ბავშვებისათვის გადაცემა — „ცანგალა და გოგონა“, 18.45 — გადაცემა ციკლიდან „საკოლმეურნეო შრომის ორგანიზატორები “— დიმიტრი მამისაშვილი, 19.05 — კინონარკვევი, 19.20 — ციკლიდან — „გაცოცხლებული ფურცლები“ (გადაცემა მესამე), 20.00 — გადაცემა — „სიჩქარის ტრასაზე“, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში „დინამო“ მოსკოვი — ცსკა. მეორე ტაიმი — (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — გადაცემა ციკლიდან „ანონიერების სადარაჯოზე“, 21.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შორია გურჯისტანამდე“. პრემიერა (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები), 22.40 — კონცერტი.

**21 ნოემბერი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — სატელევიზიო ფილმი, 11.30 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „მოდი, ზღაპარო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — კინოპროგრამა, 12.45 — „საბჭოთა საქართველო-50“. „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ მახარაძის რაიონი — (განმეორებით), 13.50 — კინონარკვევი, 14.05 — „ადამიანი და კანონი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 14.30 — „საქართველოს მხატვრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — გადაცემა — „მოგზაურობა შთაგონების სამყაროში“ (განმეორებით), 15.40 — დოკუმენტური ფილმი „სერგეი ესენინი“, 16.40 — კინონარკვევი — „ნაბიჯები“, 17.00 — „მსოფლიო დღეს“, 17.20 — ახალი ამბები, 17.25 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო ჟურნალი, 18.20 — მოსწავლეთათვის გადაცემა — „შემოდგომა, შემოდგომა“, 18.45 — „საბჭოთა საქართველო-50“. „ქართველ დოკუმენტალისტთა ახალი ნამუშევრები“, 19.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 20.15 — „საბჭოთა საქართველო-50“. „იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ“ გაგრის რაიონი. 20.55 — კინონარკვევი, 21.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — მხატვრული ფილმი „პროექტი, აკვა“. კინოსტუდია „დეფასა“ და გდრ-ის ტელევსტუდიის ნაწარმოები (პირველი სერია), 23.00 — ქართული სალხური სიმღერები და ცეკვები.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

## საქართველოს ჟ-% შინაგანი მოგებიანი სესხი 1966 წლისა

**ოფიციალური ცხრილი**

**მოგებათა 85-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1970 წლის 15 ნოემბერს ქალაქ ოდესაში.**

მოგება ხვდა სესხის ოცდაცამეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 100099 | 1—50 | 40 | 105654 | 34*) | 500 | 114869 | 43*) | 500 |
| 100304 | 44*) | 1000 | 107205 | 1—50 | 100 | 115005 | 44*) | 500 |
| 100910 | 33*) | 1000 | 107726 | 49*) | 500 | 115344 | 38*) | 500 |
| 101220 | 32*) | 500 | 108640 | 1—50 | 40 | 116299 | 35*) | 500 |
| 101297 | 1—50 | 40 | 108820 | 24*) | 500 | 116329 | 12*) | 500 |
| 101810 | 50*) | 500 | 109024 | 22*) | 500 | 117070 | 1—50 | 100 |
| 102027 | 37*) | 500 | 109462 | 38*) | 500 | 117664 | 02*) | 500 |
| 102545 | 27*) | 500 | 110204 | 28*) | 500 | 117767 | 14*) | 500 |
| 102647 | 1—50 | 100 | 110759 | 42*) | 500 | 118263 | 27*) | 500 |
| 102675 | 01*) | 500 | 110999 | 1—50 | 100 | 118339 | 1—50 | 40 |
| 103498 | 35*) | 500 | 112105 | 1—50 | 40 | 118470 | 1—50 | 100 |
| 104305 | 31*) | 500 | 112507 | 33*) | 1000 | 118525 | 34*) | 2500 |
| 104331 | 01*) | 500 | 112842 | 20*) | 500 | 120689 | 1—50 | 40 |
| 104336 | 14*) | 500 | 112860 | 47*) | 500 | 121970 | 33*) | 500 |
| | | | 114340 | 12*) | 500 | 123176 | 16*) | 1000 |
| 123290 | 1—50 | 40 | 142467 | 28*) | 500 | 158914 | 15*) | 500 |
| 123651 | 19*) | 500 | 142598 | 35*) | 500 | 159285 | 1—50 | 40 |
| 124270 | 48*) | 500 | 143008 | 07*) | 500 | 159559 | 04*) | 500 |
| 124544 | 04*) | 500 | 143235 | 1—50 | 40 | 159576 | 32*) | 500 |
| 124802 | 09*) | 500 | 143412 | 33*) | 1000 | 159928 | 19*) | 500 |
| 125357 | 32*) | 500 | 144557 | 1—50 | 40 | 160061 | 1—50 | 40 |
| 125722 | 18*) | 500 | 144632 | 01*) | 500 | 160254 | 37*) | 500 |
| 126926 | 1—50 | 40 | 144746 | 1—50 | 100 | 160541 | 05*) | 500 |
| 127038 | 36*) | 500 | 145187 | 17*) | 500 | 162474 | 20*) | 500 |
| 127720 | 19*) | 1000 | 145392 | 40*) | 1000 | 162584 | 35*) | 1000 |
| 129884 | 33*) | 500 | 146407 | 09*) | 1000 | 162708 | 01*) | 500 |
| 130698 | 17*) | 1000 | 147242 | 50*) | 500 | 165131 | 34*) | 500 |
| 131059 | 40*) | 500 | 147967 | 14*) | 500 | 165370 | 1—50 | 100 |
| 131264 | 24*) | 500 | 148790 | 1—50 | 40 | 165388 | 1—50 | 40 |
| 131499 | 1—50 | 40 | 149456 | 34*) | 2500 | 165781 | 35*) | 500 |
| 133368 | 46*) | 2500 | 150321 | 44*) | 500 | 166387 | 1—50 | 100 |
| 134948 | 31*) | 500 | 150603 | 30*) | 500 | 166835 | 17*) | 500 |
| 136043 | 09*) | 500 | 151043 | 1—50 | 40 | 166877 | 08*) | 1000 |
| 136179 | 11*) | 500 | 151979 | 15*) | 1000 | 167395 | 49*) | 500 |
| 136259 | 1—50 | 40 | 152442 | 24*) | 500 | 168010 | 38*) | 500 |
| 136502 | 1—50 | 40 | 152797 | 43*) | 500 | 168232 | 16*) | 1000 |
| 136731 | 42*) | 500 | 153190 | 29*) | 500 | 168843 | 43*) | 1000 |
| 136986 | 20*) | 1000 | 153652 | 1—50 | 40 | 169041 | 23*) | 500 |
| 137161 | 1—50 | 40 | 153831 | 43*) | 500 | 169067 | 37*) | 500 |
| 137714 | 1—50 | 40 | 154987 | 43*) | 500 | 169236 | 1—50 | 100 |
| 139676 | 33*) | 500 | 155479 | 1—50 | 40 | 169734 | 35*) | 2500 |
| 140284 | 22*) | 500 | 157696 | 25*) | 500 | 170410 | 44*) | 500 |
| 140860 | 10*) | 500 | 157742 | 08*) | 500 | 170841 | 09*) | 1000 |
| 141003 | 19*) | 500 | 157753 | 1—50 | 100 | 170888 | 25*) | 500 |
| 141015 | 36*) | 500 | 158078 | 1—50 | 40 | 171311 | 1—50 | 40 |
| 141189 | 42*) | 500 | 158181 | 1—50 | 100 | 172285 | 45*) | 500 |
| 141530 | 50*) | 1000 | 158900 | 01*) | 500 | 172860 | 1—50 | 40 |
| 174189 | 03*) | 1000 | 183716 | 1—50 | 40 | 192269 | 49*) | 500 |
| 174238 | 38*) | 500 | 183945 | 14*) | 500 | 192402 | 1—50 | 100 |
| 174293 | 1—50 | 100 | 184567 | 02*) | 500 | 192432 | 1—50 | 40 |
| 174591 | 1—50 | 40 | 184951 | 1—50 | 100 | 192692 | 33*) | 500 |
| 174788 | 1—50 | 40 | 186503 | 1—50 | 40 | 192857 | 05*) | 5000 |
| 175082 | 22*) | 1000 | 186516 | 45*) | 500 | 194031 | 14*) | 500 |
| 175262 | 39*) | 500 | 187268 | 1—50 | 40 | 194035 | 20*) | 500 |
| 175618 | 17*) | 500 | 188275 | 16*) | 1000 | 194552 | 27*) | 500 |
| 175906 | 31*) | 500 | 188922 | 18*) | 500 | 194562 | 02*) | 500 |
| 177604 | 1—50 | 40 | 189303 | 21*) | 500 | 195605 | 1—50 | 40 |
| 177782 | 44*) | 500 | 189897 | 09*) | 500 | 196812 | 45*) | 500 |
| 179247 | 21*) | 500 | 190054 | 1—50 | 40 | 197899 | 14*) | 500 |
| 179509 | 40*) | 500 | 190913 | 02*) | 500 | 198